სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 ოქტომბერი 2005 №227 (2550) ფასი 50 თეთრი



ლეგენდის თირკმელი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ვარსკვლავს, 59 წლის ლოთს, ჯორჯ ბესტს თირკმლის ინფექციის გამო სასწრაფოდ საავადმყოფოში მოუხდა დაწოლა. მოგეხსენებათ, ბესტს გადანერგილი ღვიძლი აქვს და როგორც მისი წარმომადგენელი ამბობს, სწორედ ღვიძლის მკურნალობის უარყოფითი ეფექტია ის, რაც დღეს თირკმელზე ხდება. მეორე მხრივ, იმავ აგენტის თქმით ბესტის მდგომარეობა უარესთა შორის უარესი არ არის, რადგან მისი ორგანიზმი მკურნალობას დადებითად ეხმაურება.



ჩვიდმეტის ცხრამეტივით დავცადოთ

U17 ევროშესარჩევის კალენდარი 2

სამი მესამე

ახალგაზრდები ევროპიდან ბრინჯაოს ეზიდებიან 12

დღეს: ნაკლები ნაკრების შეკრება

დღეს საქართველოს ნაკრები ყაზახეთთან და საბერძნეთთან მოახლოებული ბოლო ორი შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას იწყებს. გაიოზ დარსაძის გუნდი წუხელ გვიან ღამით შეიკრიბებოდა სრულად.

აქამდეც გამცნეთ, რომ შეკრებაზე არ ჩამოვიდოდნენ ტრავმირებულები — ლევან ცქიტიშვილი და გოგა გახოკიძე, ასევე ალკმაარელი შოთა არველაძე, ვინც საკუთარი ნებით დაეთხოვა ნაკრებს. ამათ ნაცვლად დარსაძეს ჯერ არავინ მიუწვევია...

აქვე გეტყვით, რომ ეროვნული ნაკრები თავის ბაზაზე დაბინავდება და 6-7 ოქტომბერს ღია ვარჯიშებს ჩაატარებს. რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს — კობა ჟორჟიკაშვილის ბიჭები სასტუმრო „მცხეთა პალასში“ დაიდებენ ბინას, ხოლო ვარჯიშებს მცხეთურ „არმაზზე“ გამართავენ.

დღესვე: უეფას თასი დაიხუთება



დღეს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართება. ცერემონია ჩვენი დროით დღის ორ საათზე დაიწყება, რომლის შედეგებსა და კალენდარს ხვალინდელ „სარბიელში“ იხილავთ.

წილისყრა შარშანდელი ფორმატით გაიმართება. 19 ქვეყნის 40 კლუბს 8 ჯგუფში ხუთ-ხუთად დაყოფენ, თითოეული მათგანი მეტოქესთან ერთ შეხვედრას გამართავს ანუ სულ ოთხს-ორს შინ და ორს სტუმრად. უეფას თასისთვის ბრძოლას პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ.

2005-06 წლების უეფას თასის ფინალს ეინდჰოვენის „ფილიპსის“ სტადიონი უმასპინძლებს

ჩვიდმეტიც ცხრამეტივით დავცადოთ

ფოტო ფოლიანტის ფოტო

ლევან მელიქია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს 19 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი ეწყება. ოთხგუნდა ჯგუფში ჩვენების გარდა მასპინძელი ბელგია, ბულგარეთი და ავსტრია ითამაშებენ.

გათამაშების ფორმატი თითქმის იგივეა, როგორიც 19-წლამდელებისა: პირველი ეტაპიდან ორი საუკეთესო გუნდი მეორე ეტაპზე გადის, სულ 24 ნაკრები მოგროვდება, საიდანაც ფინალურ ეტაპზე 8 უძლიერესი გავა.

აქვე გეტყვით, რომ ფინალური ეტაპი გაისად 3-14 მაისს ლუქსემბურგში გაიმართება.

თუმცა მაისამდე შორია — ქართველ 17-წლამდელებს ბელგიაში საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავთ. ლევან მელიქიას გუნდი 9 ოქტომბერს საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაიწყებს მზადებას, 14-ში კი ბელგიაში გაემგზავრება.

„ნაკრები თითქმის მთლიანად პირველი ლიგის გუნდების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. შემადგენლობა ჩამოყალიბებული კია, მაგრამ საბოლოო სიას 9-10 ოქტომბერს გაგაცნობთ. არაა გამორიცხული, მეორე ეტაპს საქართველომ უმასპინძლოს, მაგრამ ამისთვის ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლაა საჭირო“ — გვითხრა ლევან მელიქიამ.

შეგახსენებთ, ქართველმა 17-წლამდელებმა აგვისტოში ლიტვურ პალანგას ტურნირზე ითამაშეს, სადაც რვა გუნდში მეშვიდე ადგილი დაიკავეს.

აქვე ჯგუფური მატჩების კალენდარსაც გაგაცნობთ...

ილია ნანოგაზვილი

19 ოქტომბერი
აალტერი. 18 საათი
(თბილისის დროით)
ავსტრია — ბულგარეთი
დაინცე. 21 საათი
ბელგია — საქართველო
21 ოქტომბერი
ოდენაარდი. 18 საათი
საქართველო — ავსტრია
დაინცე. 21 საათი
ბელგია — ბულგარეთი
23 ოქტომბერი
აალტერი. 20 საათი
ბელგია — ავსტრია
ოდენაარდი. 20 საათი
საქართველო — ბულგარეთი

პროგრესული დასასრული

საქართველოს 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩიც წააგო — მაია ჯაფარიძის შეგირდები ამჯერად 0:12 დამარცხდნენ მასპინძელ ბოსნიასთან.

რა უნდა ვთქვათ? წინა ტურში რუსეთთან 0:21-ის მერე აშკარაა ჩვენი გოგონების პროგრესი...

საბოლოოდ რა: სამი თამაში, სამი მარცხი და ბურთების შესაშური სხვაობა — 0:40!!!

ევროპის ჩემპიონმა რუსეთმა კი ბოლო ტურში ისლანდიაც გაანადგურა 5:1.

რუსეთი	3	3	0	0	32:1	9
ისლანდია	3	2	0	1	13:5	6
ბოსნია	3	1	0	2	12:11	3
საქართველო	3	0	0	3	0:40	0

ფოტო ფოლიანტის ფოტო

მაია ჯაფარიძე

ფედერაციამ ახალგაზრდები ჯერ ვერ მოიფიქრა

ბოლნისის სტადიონმა კითხვები დაბადა

ჯერაც გაურკვეველია, თუ სად ჩატარდება 7 ოქტომბერს საქართველოსა და ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი.

გეცოდინებათ, ფეხბურთის ფედერაციას შეხვედრის ჩატარება ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ უნდოდა, მაგრამ...

ერთი ვერსიით, ფედერაციას სურს, „სიონის“ სტადიონს ფული არ გადაუხადოს, რასაც ბოლნისის გამგეობა და კლუბის ხელმძღვანელები არ თანხმდებიან.

მეორე ვერსიით კი, ფედერაციას პრეტენზიები იქით ჰქონია: „თამაზ სტეფანიაზე“ საჭირო პირობები ამ ეტაპზე არ არისო. მათი პრეტენზია ძირითადად ტექნიკურ აღჭურვილობას გულისხმობს, არა ფაქსი, არა ქსეროქსი, არა კომპიუტერი... ჟურნალისტთათვის განკუთვნილ პრესლოჟაში შტეფსელებიც კი არ არის.

მოკლედ, საქმე ასეა. თამაშის დღე ახლოვდება, სტადიონი კი ჯერაც უცნობია.

გიორგი ვაშაკიძე

ქართველები ნავთობს ქაჩავენ

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეექვსე ტურში ორი ქართული გოლი გავიდა და ორივე ერთ თამაშში: ჩემპიონმა ბაქოს „ნეფთჩიმ“ სტუმრად 5:0 მიანგრია „მტკ-არაზი“, სადაც გოლების კასკადი მცველმა ვალერი აბრამიძემ დაიწყო 23-ე წუთზე თავური დარტყმით, ხოლო დაბოლოება გიორგი ადამიასი იყო. ამათ შორის კი სლოვენიელი ტომისლავ მიშურა ბობოქრობდა, ვინაც სამი გოლი შეაგდო.

„ნეფთჩი“ 13 ქულით მეოთხე საფეხურზეა. აბრამიძემ კი ამ სეზონში უკვე მესამე ბურთი მიითვალა.

ლიდერი კი ალეკო გოგობერიშვილის 15-ქულიანი „ბაკია“, თუმცა ქართველ ნახევარმცველს თავისიანთა გატანილ გოლებში მონაწილეობა არ მიუღია — ბაქოელებმა 4:0 წალეკეს მოიკ-ი.

მეორე ადგილზე ჩაინაცვლა თენგიზ სიჭინავას, ზაზა ლაცაბიძისა და ზაზა მედოევის „თურანმა“, რომელიც სტუმრად „გიანჯაბირლიის“ 2:2 გაეყარა და ახლა 14 ქულა აქვს.

ლექსო ინწკირველის „კარვანმა“ კი 2:0 აჯობა მაჩანჩალა „გეიაზანს“...

ილია ნანოგაზვილი

ფოტო ფოლიანტის ფოტო

ვალერი აბრამიძემ ამ სეზონში მესამედ გაიტანა

ინგლისი
ჩემპიონატი
XI ტური
ძპრ 1:3 კრ პალასი

იტალია
სერია CVA
VI ტური
რავენა 1:0 სამგენოდეტეზე

ესპანეთი
სეგუნდადივიზიონი
VII ტური
მალაგა B 1:1 ეიბარი

გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
VIII ტური
ბოხუმი 1:0 მიუნხენი

საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
X ტური
ბასტია — სედანი გადაიდო

პორტუგალია
სუპერლიგა
VI ტური
ბენფიკა 2:1 გიმარაეში

ჰოლანდია
მეორე დივიზიონი
XI ტური
ვეენდამი 3:1 იგლსი
გრაადუსხაპი 3:1 ფორტუნა
დენ ბოსხი 5:1 აპელდორნი
დორდრეხტი 0:0 ტელსტარი
პსვ (მ) 0:6 ეძსელსიორი
ჰაარლემი 0:2 ემენი
მაასტრიხტი 1:3 კამბური
ოსი 1:3 ალმერე
ვოლენდამი 0:0 ვენლო
ზვოლე 3:0 ჰელმონდი

ჩეხეთი
პირველი ლიგა
VIII ტური
სლავია 2:1 ბოლესლავი
ბანიკი 0:1 პრიბრამი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა
XXV ტური
მიუპა 3:0 ტამპერე

საბერძნეთი
ნაციონალლიგა
V ტური
ატრომიტოსი 0:1 ძსანტი

უნგრეთი
NB1 VII ტური
დებრეცენი 2:2 ვაშაში

ირლანდია
პრემიერლიგა
XXVI ტური
ბოჰემიანი 1:1 სტ პატრიკსი

ნორვეგია
ტიპელიგა. XXIII ტური
ბრანი 2:1 ვიკინგი

სლოვენია
სი მობილ ლიგა
XI ტური
დომჟალე 4:1 რუდარი

შვედეთი
ალსვენსკა
XXIV ტური
იურგორდენი 6:1 ჰალმშტადი
მალმიო 5:0 ლანდსკრონა
სუნდსვალი 3:0 ჰეკენი

სუპერეტა
XXVII ტური
გაის 0:0 ტრელეგორგი
ვესტერასი 1:2 აიკ

სად არის ჭეშმარიტება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოვდება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყაზახეთსა და საბერნეთთან სათამაშოდ გამოძახებულთა გვარები უკვე დაასახელა და ჩვენც ნაკრების გარშემო ბოლო დროს მიმდინარე ამბებთან გამოხმაურება ახლა ჩავთვალეთ მიზანშეწონილად — ასე ვთქვათ, სანამ უშუალოდ ორომტრიალი დაწყებულა, რადგან მიგვაჩნია, რომ მერე კრიტიკანარევი წერილი აღარ უნდა იყოს, მერე უნდა იყოს მხოლოდ ქომაგობა.

ჩვენი წერილი, როგორც ხედავთ, ორნაწილიანია და იმედი გვაქვს, რომ ეს ნაწილები ერთმანეთს არ ჰგავს. პირველში უფრო კრიტიკა და უარყოფითი აქცენტების თავმოყრა ვცადეთ; მეორეში, პირიქით, შევეცადეთ, ფედერაციისა და ნაკრების ახალი ხელმძღვანელობის პოზიციები დადებითი მხრიდან აღგვექვა. გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ნაწილების პირველ-მეორეობა შემთხვევითია, თუ გნებავთ, ჯერ მეორე წაიკითხეთ, მერე პირველი. ამასთან, ეჭვი არ გვეპარება, რომ მოვლენებს კიდევ უამრავი კუთხით შეიძლება შევხედოთ, მაგრამ რაც უნდა დავამატოთ აქეთაც და იქითაც, ჭეშმარიტება ცალ მხარეს არასდროსაა.

მაშ, სად არის ჭეშმარიტება? სადმე შუაში? იქნებ, გამარჯვებულთან? მართლაც, თუ ნაკრების ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ეროვნულ გუნდს გააძლიერებს და შედეგად, ევრო 2008-ზე გავალთ, მაშინ სიმართლე მათი ყოფილა, თუ არა და... ყველაფერი მალე გამოჩნდება. თუ არა და, ჩვენში ისევე, როგორც აქამდე, არც გამარჯვებული იქნება და არც სიმართლე!

ძნელია ცუდის დანახვა?

რით დავიწყოთ? რით და, თემის მოსაძებნად შორს წასვლა კი არა, ნაბიჯის გადადგმაც არ დაგვჭირდება: ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა დანიაში 1:6 წააგო! არანაირი მტკიცება, რომ დანია ზოგადად ძლიერია და პლუს ახლა საუკეთესო ფორმაშია, არ ჭრის — ანგარიშმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, შესაბამისად, თავის გამართლების მოსმენა არ გვაინტერესებს. ელემენტარულად არც გვჯერა, რომ დანია ამდენი გოლით გვჯობია და მეტიც, კარგად გვახსოვს, რომ ამავე გუნდთან შინ 2:2 ვითამაშეთ. სხვათა შორის, იმ პერიოდში თურქეთს თურქეთში დავუმთავრეთ 1:1, ასე რომ, რაიმეს თეორიულად კი არ ვამტკიცებთ, ფაქტებით ვიცით, რომ თურქებთან და დანიელებთან სხვა შეფარდება გვაქვს, 1:6-სგან ძალიან განსხვავებული.

მაშ, რატომ შეიცვალა ის 1:1 და 2:2 1:6-ით? ალბათ იმიტომ, რომ ნაკრებს აღარ ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელმაც იცის, როგორ ითამაშოს თურქეთში 1:1 და დანიასთან 2:2.

ერთი წამით ნურავინ იფიქრებს, რომ დედამიწის ზურგზე ალენ ჟერესზე უკეთესი მწვრთნელი არ გვეგულება. გვეგულება და ოცამდე ასეთს კუნაპეტ ღამეში, კოშმარული სიზმრისგან — სავარაუდოდ, უკვე 1:7-სგან — ახალგაღვიძებულიც კი სხაპასხუპით ჩამოგითვლით, მაგრამ ეს კიდევ უფრო გვიმყარებს იმ ეჭვს, რომ საქართველოს ფეხბურთის რომელიმე თაობის და შემადგენლობის ფედერაციას მართლა მწვრთნელი რომ ჩამოეყვანა ამ ჩვენი ბედკრული ნაკრებისთვის, იქნებ, სულო ცოდვილო და, იმ დანიისთვის თბილისში სულაც მოგვეგო, ხოლო შესარჩევი ჯგუფის ცხრილში სადმე ზევით ვყოფილიყავით. დღეს კი რა გვაქვს? 1:6 და ბეჩავობის შეგრძნება: ვართ ქვეყანა, რომელიც შობს „მილანის", „ბლექბერნის" თუ ბუნდესლიგის კლუბების მოთამაშეებს და გვაქვს მალტასა და მსგავს ქვეყნებზე უარესი ან მათნაირი შედეგები. არადა, იმ მალტებს „მილანსა" თუ „რეინჯერს"-„ალკმაარში" არავინ ჰყავთ.

და რა უნდა უცხოელ მწვრთნელს? ხელფასი. სად არის თანხა? სპონსორის ჯიბეში. სად არის სპონსორი? აი, ეს კი უნდა იცოდეს იმან, ვინც დარგს უძღვება. მისი პირდაპირი მოვალეობაა. ჩვენ მხოლოდ დახმარება შეგვიძლია. მაგალითად, აი, ასეთი: ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, ფეხბურთი თქვენს ქვეყანაში ხალხს ძალიან უყვარს, ხოლო ამ ხალხის ნაკრებისთვის ნამდვილად კარგი უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანას დაახლოებით ერთი მილიონი ამერიკული დოლარი სჭირდება. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, დაეხმაროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სანდო და პრესტიჟული სპონსორის მოძიებაში. ამასთან, გულწრფელად ვფიქრობთ, ეს თქვენი ისედაც მაღალი რეიტინგის კიდევ უფრო ამაღლებას ან, სულ მცირე, გამყარებას შეუწყობს ხელს.

სხვათა შორის, ფეხბურთისა და ხელისუფლების თემა უფრო მრავალმხრივი და სიღრმისეულია, მაგრამ, მოდით, ეს სხვა დროისთვის გადავდოთ.

ახლა საკითხი ასე დავსვათ: იქნებ გვეშლება? იქნებ ვერც ის კაცი — ვინც, ჩვენი აზრით, იცის, როგორ ითამაშოს დანიასთან 2:2 და თურქეთთან 1:1 — გადაურჩებოდა 1:6-ს? იქნებ, უბრალოდ, ფეხბურთელები არ გვყავს, მარტო ერთი კალაძე (პლუს კობიაშვილი და კიდევ რამდენიმე) კი გაზაფხულს ვერ მოიყვანს?

სრულიად შესაძლებელია, ოღონდ, memento Boskamp! კარგად გვახსოვს 1999 წელიც, როდესაც, მარცხნივ თუ მარჯვნივ მცველები არ გვყავს და ამიტომ ევროპულ ნაკრებებს კონკურენციას ვერ გავუწევთო, ამბობდნენ, ამ დროს კი მოვიდა დოღრიალა ჰოლანდიელი და ჩვენთვის, მოკვდავებისთვის ძალიან ეფექტურად საიდანღაც „ხიზანები" გააჩინა. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ამქვეყნად არსებობენ კაცები, რომელთაც იციან, როგორ „გააჩინონ ხიზანები" და თუ ასეთი კაცის ჩამოყვანას საქართველოს პრეზიდენტთან ან ვინმე სხვასთან ჩვენი კიდევ ერთი შუამდგომლობა დასჭირდება, წამით არ დავიხევთ უკან.

ერთი სიტყვით, გვინდა კაცი, ვინც იცის, როგორ ითამაშოს ტოლად დანიასთან, „გააჩინოს ხიზანები" და, უკიდურეს შემთხვევაში, თუ ეს „ხიზანები" იგვიანებენ, არსებულით 1:6 მაინც არ წააგოს.

ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის, წინსვლის ტენდენციაა მთავარი, თორემ დღესვე რომ დიდ შედეგს ვერ მივიღებთ, ეს ყველამ იცის.

ძნელია კარგის დანახვა?

დღეს, ასეა: ურემი გადაბრუნდა, გზა კი... აი, სწორედ ამ გზაზე გვინდოდა გვეთქვა, რადგან ამ გზის ამბავი უფრო რთულად არის, ვიდრე იმ გზისა, რომელზეც ქართულ ანდაზაშია საუბარი.

ერთი ნაღდია, ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი შეფები ამბობენ, რომ ისინი გზას ხედავენ და მისი მიმართულებით ჩვენ დასანახადაც იშვერენ თითს, ჩვენ კი ორ ბანაკად ვართ გაყოფილნი. ერთნი ვამტკიცებთ, რომ გზა, რომელიც მათ დაინახეს, ჩვენ მოსატყუებლად გამოგონებული მირაჟია, ხოლო მეორენი მომავალს მემილიონედ შევყურებთ იმედის თვალით. იმ ადამიანებს, რომელთაც ხელი ჩაიქნიეს და „გალოთდნენ", აქ არ განვიხილავთ.

მაშ ასე, საფეხბურთო შეფების მტკიცებით, გზა, რომელიც ქართული ფეხბურთის აყვავებამდე მიგვიყვანს, ყმაწვილებზე გადის. რატომ? იმიტომ, რომ ზრდასრულები „არ არსებობენ".

დავაზუსტოთ: კახა კალაძე, შოთა არველაძე, ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ცქიტაშვილი, მალხაზ ასათიანი და კიდევ რამდენიმე, ძლიერი ნაკრების შესაქმნელად საკმარისნი არ არიან. ერთი რომ დაშავდეს, მეორემ კი ორი ყვითელი მიიღოს, ამათ დონისას შვიდსაც ვერ მოვკრებთ. ვრჩებით დანარჩენთა ამარა და, მოდით, სწორედ ამ დანარჩენებზე შევაჩეროთ სიტყვა.

თუმცა, მანამდე სულ ერთი წამით... არველაძე ოცდაათს გადაცილებულია, ხოლო ქართველებს, მათ რიცხვში ფეხბურთელებსაც, ისევე, როგორც დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს, დროთა განმავლობაში ასაკი ემატებათ. აი, ამაზე თუ შევთანხმდებით, შემდგომ ლოგიკას უფრო იოლად ავაწყობთ.

მაშ ასე, გვყავს კარგ ფეხბურთელთა არცთუ დიდი ჯგუფი და არის დრო, რომელიც გადის. და სად არიან სხვები? სად და, რუსეთის მესამეხარისხოვან გუნდებში, კვიპროსზე, ისრაელსა და ამდაგვარ ქვეყნებში. დიახ, ისინი ოდესღაც შესაძლოა ნიჭიერებიც იყვნენ, მაგრამ დიდმა ძიებმა სიყმაწვილეშივე დასტაცეს ხელი და პირველივე მთხოვნელს მიჰყიდეს. შედეგად, ძიებმაც და ბიჭებმაც „მანქანები იყიდეს", ოღონდ, ეგაა, მედალს მეორე მხარე აღმოაჩნდა: იქ, სადაც ისინი გაყიდეს, ფეხბურთის კარგად თამაშს არავინ ასწავლიდა და დღეს, ხუთი-ათი წლის მერე ვამბობთ, რომ ქართველებს მათი ასაკის მოთამაშე არ გვყავს.

აქ ჩავურთოთ: აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საკუთრივ საქართველოში არავის შეუქმნია ამ ბიჭების ხელფასით უზრუნველყოფისა და კარგ ფეხბურთელებად აღზრდის პირობები.

აქვე დავუშვათ, რომ რომელიმე გათვითცნობიერებულ მკითხველს სადმე ეგულება სანაკრებო დონის ფეხბურთელი, მაგრამ იმაშიც ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი ერო, მაქსიმუმ ორ კაცზე მეტს ვერ დაასახელებს და პრობლემა პრობლემადვე დარჩება.

და აი, ასეთ ფონზე გამოჩნდნენ იმ თაობის ფეხბურთელები, რომლებიც რუსეთის მესამეხარისხოვან გუნდებში ჯერ არ გაუყიდიათ. ისინი 17-18 წლისანი და უფრო უმცროსნი გახლავან, მათ აქვთ ნამდვილად კარგ ფეხბურთელებად ჩამოყალიბების შანსი, ოღონდ, ისინი ცხოვრობენ ქვეყანაში, სადაც დიდმა ძიებმა წინა თაობები გააქრეს და ამიტომ ქართული ფეხბურთის ახალმა შეფებმა შესაძლოა, პირდაპირ ეროვნულ ნაკრებში უკრან თავი.

რა ვქნათ? უფრო სწორად, რა ქნან შეფებმა? ათამაშონ „კალაძე და არველაძე", მათი ჯგუფი თერთმეტამდე თუ თექვსმეტამდე რუსეთის მესამეხარისხოვანი გუნდებიდან გამოძახებული ხალხით შეავსონ თუ გარისკონ და რამდენიმე უწვერული ნელ-ნელა შეაჩვიონ ნაკრებს?

რისკია! ოი, როგორი რისკია! ფეხბურთელი კი არა, ღმერთმა ნუ ქნას და, შეიძლება ცხოვრებაარეული ადამიანი მივიღოთ. იქნებ უპრიანია, თანაგუნდელობამდე 17 წლის ბიჭმა კახა კალაძე ჯერ ქუჩაში დაინახოს და ის ჰქონდეს სალაპარაკოდ...

მაგრამ, მეორე მხრივ, რატომ უნდა მოხდეს ასე? განა მსოფლიოში ნაკრებში მოთამაშე 17 წლის ბიჭი სხვა არ გვინახავს? განა მაო არ უნდა ამოუდგენენ მხარში თავად შეფები, ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები, ბავშვობის მასწავლებლები, იმ კლუბების ხელმძღვანელები, სადაც ისინი თამაშობენ? რატომაც ვერ უნდა აჯობონ ასე ნალოლიავებმა ყმაწვილებმა მაო, ვინც გაიმეტეს და პირდაპირ სადღაც ჩრდილოკავკასიაში გაგზეს? იქნებ ამ მეთოდით სწორედ ის მოთამაშეები მივიღოთ, რომლებიც ჯერ ქართულ კლუბებს გამოადგებიან და მერე, თუ გაიყიდებიან, ზაურალიეს და ზაბაიკალიეს ნაცვლად „ლივერპულსა" და „ბაიერნში" ითამაშებენ...

და ისევ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვა რა გზაა, ვაცადოთ, სანამ ისინი ოცს არ გადააბიჯებენ, მანამდე უპერსპექტივო ხალხი ვაწვალოთ, მათი აღზრდა კი მერე დავიწყოთ? თან მანამდე ხომ არველაძე წავა, კალაძეც დაბერდება...

და, ოხ, ეს ჩასაფრებული დიდი ძიები თავიანთი მესამეხარისხოვანი გუნდებით...

პაპუნა კედია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

8 ტური მიმოხილვა

კონტურები და კონტრასტები

მერვე ტურიც ჩათავდა და 14 ოქტომბრამდე ეროვნული ჩემპიონატი სანაკრებო ბატალიებს დაუთმობს ასპარეზს. ვინ იცის, მცხეთობის დღესასწაულამდე რომელი გუნდი როგორ გამოიყენებს შესვენებას. არაა გამორიცხული, უცხოეთში მოთამაშე ერთი-ორი ქართველითაც გამდიდრდეს ჩემპიონატი.



ამ ტურმა კი გარკვეული კონტურები მოხაზა: ვინც იგებდა, იმან ისევ მოიგო და სულ უფრო შთამბეჭდავი ხდება გუნდებს შორის სხვაობა როგორც ქულებში, ისე სათამაშო კლასში. ასეა, ცხრილმა მეგობრობა არ იცის — საწყის ტურებში თუ 3:0, 4:0 და მისთანები იშვიათობა იყო, ახლა... მიდი, სული და გული, ცალი ფეხით მოგებები გახშირდა.

„სიონის" ქებით არც ახლა დავიღლებით: რატომღაც ბევრი ფიქრობდა, რომ ბოლნისელებს სწორედ „ზესტაფონთან" დაუცდებოდათ ფეხი, ანუ ფავორიტებად იმერლებს თვლიდნენ. ოღონდ, რატომ, ეს ვერ გავიგეთ... ხვიჩა ქასრაშვილის ბიჭებმა ისევ ლაღი თამაშით დაამტკიცეს, რომ ცხრილში სწორედაც შესაფერისი ადგილი უკავიათ და ისიც ნათელყვეს, რომ ფეხბურთში მხოლოდ ფული და რეკლამა არ იგებს.

მატჩის ერთადერთი გოლი გრიგოლ დოლიძემ გაიტანა და ამ სეზონში უკვე ოთხი ბურთი მოაქუჩა, რაც მარჯვენა ნახევარმცველის კვალობაზე არცთუ ცოტაა. თანაც 20 წლის ბოლნისელის ყველა გოლი გადამწყვეტი გამოდგა. დოლიძე-ბოლქვაძე-კვიტაიშვილი-დვალიშვილი მიკუჩაძე: „სიონის" შემტევ ხუთეულს ჯერჯერობით შემჩერებელი არ უჩანს.

„ზესტაფონი" კი... რვა თამაშში რომ გუნდი მხოლოდ 5 გოლს გაიტანს, მის საჩემპიონო ამბიციებზე ნუ ვილაპარაკებთ. თემურ მახარაძე კვლავ ჯიუტად არ ათამაშებს მოლდოველ სერგეი ნუდნის, რომელსაც, ეტყობა, „დინამოსთან" გატანილი მაკრატელა ყარაულის თოფის გავარდნად ჩაუთვალეს. თუმც ნუდნის არც იქამდე ანებივრებდნენ ძირითადში თამაშით. რას იზამ, მწვრთნელია და თავისი საქმისა თავად იცის.

„სიონის" მერე ყველაზე ღონიერ გუნდებად „ბორჯომი", „ლოკომოტივი" და „ვიტ ჯორჯია" ჩანან. სოსო ფრუიძის და ნოდარ აკობიას გუნდებმა ამ ტურში სიარულით მოიგეს, ვიტელები კი ყმაწვილ ნიკა გელაშვილს უნდა უმადლოდნენ სამქულიანს — თელავის „კახეთიდან" გადაყვანილმა ფორვარდმა გლდანში „ამერს" ორი გოლი გაუტანა, თანაც იმ დროს, როცა გიორგი ჩიხრაძის ბიჭები იგებდნენ.

აი, სამი გუნდის სიმეტრიაც: „ბორჯომმა" მიჯრით მეშვიდე, „ლოკომოტივმა" მეექვსე, „ვიტ ჯორჯიამ" კი მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

ნელ-ნელა პოულობს თავის თამაშს ოთარ გაბელიას „ბათუმი", რომელმაც ზღვისპირულ დერბიში მომხვდურ „კოლხეთს" საწყის 17 წუთში გადაუწყვიტა საქმე. რა თქმა უნდა, ფოთელებმა ტრადიცია გააგრძელეს და სტუმრად გოლი ვერ გაიტანეს — ასპროცენტიანი შედეგი შინ, ნულპროცენტიანი სტუმრად — ასეთია კოლხთა სვლა.

„ბათუმისა" და „ამერის" დარად, ცამეტი ქულა აქვს თბილისის „დინამოს", რომელსაც თითქმის ნახევარი შემადგენლობა ტრავმირებული ჰყავს, მეტადრე ნახევარდაცვაში მიეძალა პრობლემები და კახა ცხადაძემაც აუტსაიდერ „სპარტაკთან" სამი თავდამსხმელი დააყენა, რამაც გაუმართლა კიდეც — სანდრო იაშვილმა ორჯერ გაიტანა, ერთხელ კი მიხეილ ბობოხიძემ იხეირა.

„სამწუხაროდ, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგვიწევს. ბევრი ახალგაზრდა გვყავს, მათაც მივცემთ თავის გამოჩენის შანსს და ვნახავ მომდევნო დღეებში ალანიელი ქართველების გადინამოელების საკითხიც გაირკვეს" — თქვა ნაიატჩევს კახა ცხადაძემ. „დინამოს" კი შემდეგ ტურში ელის მთავარი ჯახი „სიონთან...

მოკლედ, რაც უნდა კრიზისში იყოს, „დინამო" ყოველთვის საინტერესო თემაა და ჩემპიონი ვერაფრის დიდებით ვერ გახდებაო, ჯერ არავინ თქვას.

ტურის ანტიგუნდი კი უდავოდ „სოხუმია" — გორის „დილასთან" პირველ ტაიმს 0:5 რომ წააგებ, რაღაზეა ლაპარაკი. მასპინძელთა საბა სულთანიშვილმა კი ბორჯომელ გიორგი ქორიძეს მიბაძა და ოთხი გოლი შეაგდო. ასეა, უკვე მეორე პოკერი „გადაიშალა" ამ სეზონში, ჰეთ თრიქი კი ჯერ არ ყოფილა.

დაბოლოს, კიდევ ერთი ტრადიცია: უკვე მეოთხე ტურია, გუნდები ფრეზე „აცრილები" არიან, ხოლო ერთადერთი წაგებული გუნდი, რომელმაც გოლი შეაგდო, თბილისის „ამერია".

უკვე ვთქვით კიდეც, კლასში სხვაობა ტურიდან ტურამდე თვალსაჩინო ხდება...

ილია ნანობაშვილი

სიმბოლური ნაკრები

მოთამაშე	გუნდი
სანდრო იაშვილი	დინამო
ნიკა გელაშვილი	ვიტ ჯორჯია
ოთარ მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
საბა სულთანიშვილი	დილა
დავით ბოლქვაძე	სიონი
დავით დიღმელაშვილი	ვიტ ჯორჯია
კობა შალამბერიძე	ტორპედო
როინ ონიანი	ლოკომოტივი
ალექსანდრე ბურნაძე	ბორჯომი
თენგიზ ჩიკვილაძე	სიონი
მინდია ბოგდიაშვილი	სიონი

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ბომბარდირები

6	ქორიძე	ბორჯომი
5	დვალი	სიონი
	ქუთათელაძე	კოლხეთი
4	მიქუჩაძე	სიონი
	მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
	სულთანიშვილი	დილა
	ქ. ხანიშვილი	დილა
	დოლიძე	სიონი

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასწრება	საშუალო ბალი
„ამერი" თბილისი	ამერი 1:2 ვიტ ჯორჯია	9,0	7,5	9,5	8,6
„ტორპედო" ქუთაისი	ტორპედო 1:0 თბილისი	8,5	7,0	8,5	8,0
„თამაზ სტეფანია" ბოლნისი	სიონი 1:0 ზესტაფონი	8,5	7,5	8,0	8,0
„შევარდენი" თბილისი	სპარტაკი 0:3 დინამო	8,0	6,5	7,5	7,3
„ოლიმპი" თბილისი	ბორჯომი 4:0 ცხინვალი	9,0	7,0	3,5	6,5
„მიხეილ მესხი" თბილისი	ლოკომოტივი 3:0 კახეთი	8,5	7,0	3,0	6,1
„თენგიზ ბურჯანაძე" გორი	დილა 5:0 სოხუმი	6,5	6,5	4,5	5,8
„დინამო" ბათუმი	ბათუმი 2:0 კოლხეთი	6,5	6,5	1,0	4,6

სიონი	8	7	1	0	15:4	22
ბორჯომი	8	7	0	1	18:4	21
ლოკომოტივი	8	6	2	0	13:2	20
ვიტ ჯორჯია	7	5	1	1	12:5	16
დინამო	8	4	1	3	10:6	13
ბათუმი	8	4	1	3	5:4	13
ამერი	8	4	1	3	7:7	13
დილა	8	4	0	4	12:7	12
ზესტაფონი	7	4	0	3	5:4	12
კოლხეთი	8	4	0	4	5:8	12
კახეთი	8	3	0	5	6:13	9
ტორპედო	8	2	1	5	5:8	7
ცხინვალი	8	2	0	6	4:12	6
სპარტაკი	8	1	1	6	1:8	4
სოხუმი	8	1	1	6	7:19	4
თბილისი	8	0	0	8	2:15	0

მომდევნო ტური

14 ოქტომბერი, პარასკევი

სოხუმი – ბათუმი

15 ოქტომბერი, შაბათი

კოლხეთი – ამერი

კახეთი – დილა

თბილისი – ლოკომოტივი

ზესტაფონი – ტორპედო

ცხინვალი – სპარტაკი

16 ოქტომბერი, კვირა

დინამო – სიონი

ვიტ ჯორჯია – ბორჯომი

ქართველები უცხოეთში

შოთა არველაძე გოლებს დაუბრუნდა, „ალკმაარი“ კი ცხრილის თავს

სკონტოს გადაგდება შოთა არველაძემ ბურთები დაამრგვალა

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ „ნიუკასლთან“ წინა ტურის კოშმარული 0:3 დაივიწყა და „ვესტ ბრომვიჩი“ 2:0 დასცა. ბლექბერნელებს მაინცდამაინც დიდი პრობლემები არ შექმნიათ ამ მატჩში, ხიზანიშვილიც ჩვეულად ძირითადში იყო და საკმაოდ რიგიანადაც გაისარჯა. მარკ ჰიუზის „ბლექბერნი“ ახლა მეთერთმეტე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და გასავარდნთა ზონასაც დაშორდა.

ერთმატჩიანი შესვენების შემდეგ კვლავ გაიტანა შოთა არველაძემ. „ალკმაარს“ ძალიან გაუჭირდა „ნიმეგენთან“ და შოთამაც მაშინ იყოჩაღა, როცა ანგარიში 2:2 იყო.

მოკლედ, აზელებმა 3:2 მოიგეს და კვლავაც ლიდერობენ ერედივიზიონს, არველაძე კი შვიდ მატჩში გატანილი ათი გოლით ბომბარდირებს ყოჩობს.

ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილის „შალკემ“ „აინტრახტს“ გამოჰგლიჯა ხელიდან სამი ქულა. დაძაბულ მატჩში გელზენკირხენელებმა 1:0 მოიგეს და ლიდერთა სამეულსაც მიუახლოვდნენ.

უილბლო ტური ჰქონდათ რუსეთში მოთამაშე ქართველებს. ერთადერთი, *მიხეილ აშვეთიას* „როსტოვმა“ იმარჯვა და პრემიერლიგაში დარჩენისთვის გვარიანი ნაბიჯიც წადგა — როსტოველებმა 1:0 დაამარცხეს ვლადიკავკაზის „ალანია“, რომლის განაცხადშიც ერთადერთი ჩვენებური *დავით კვირკველია* იყო, თუმცა მას მოედანზე გასვლის საშუალება არ მისცემია.

მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივი“ და *ქინქლაძე-სალუქვაძის* „რუბინი“ კი „დინამოს“ და „ტომს“ უგოლოდ გაეყარნენ. ცნობისთვის: ქინქლაძემ კი 82-ე წუთზე პენალტი გააცუდა...

ლატვიაში ლევან მიქაძის „მეტალურგსმა“ ალექსანდრე რეხვიაშვილის „ვენტსპილსი“ 5:1 მიანგრია და ჩემპიონობაც გაინაღდა. ქართველებით დახუნძლულმა აწ ექსმარადჩემპიონმა „სკონტომ“ კი „იურმალას“ 3:0 მოუგო და აქედან ორი გოლი შეცვლაზე შესულმა ჩვენებურებმა, *ზურაბ მენთეშაშვილმა* (პენალტით) და *დავით ჩალაძემ* გაიტანეს. მათ გარდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა *ზაალ ელიავამ* ძირითადში ითამაშა, ხოლო *ლევან კორლალიძე* საერთოდ არ გამოჩენილა.

კვიპროსის ჩემპიონატის არასრულ მეხუთე ტურში ლევან ბეგაძემ იყოჩალა. მისი „აშნა“ 1:1 დაუზავდა უცნაური სახელის მქონე დებიუტანტ „ოოის“ და, ქებაძეს რომ არ გაეტანა, დიდი შანსი იყო, სულაც წაეგო. ახლა „აშნა“ მეცხრე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

კახა ზალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა			
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	რეჯინა 2:1	0		4	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	აინტრახტი 1:0	90		8	0	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	ს	ბაიერნი 0:2	0	ტრავმირებულია	7	0	7
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ბრაუნშვაიგი 0:0	90	გააფრთხილეს	8	1	6
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	ბრაუნშვაიგი 0:0	0	ტრავმირებულია	0	0	6
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	კარლ ცაისი 1:2	90		10	1	4
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	ბაიროითი	ს	პფულენდორფი 1:2	90		8	5	8
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	ვესტ ბრომვიჩი 2:0	90		4	0	11
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	ნაიმეგენი 3:2	90	1 გოლი	7	10	1
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ჰერაკლესი 4:0	0	ტრავმირებულია	5	0	12
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	ტიროლი 2:0	61	შეცვალეს	11	5	5
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	დინამო 0:0	90		24	1	1
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	დინამო 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	დინამო 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	ს	დინამო 0:0	0	ტრავმირებულია	0	0	1
მიხეილ აშვეთია	როსტოვი	შ	ალანია 1:0	63	შეცვალეს	10	1	14
გოჩა ხოჯავა	როსტოვი	შ	ალანია 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	14
ბექა ულენტი	ტორპედო	ს	შინიკი 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ანზორ კალაძე	ტორპედო	ს	შინიკი 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	როსტოვი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	17	1	15
ლევან გვაზავა	ალანია	ს	როსტოვი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	6	0	15
ლადო ბურდული	ალანია	ს	როსტოვი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	13	0	15
დავით კვირკველია	ალანია	ს	როსტოვი 0:1	0	სათადარიგო	13	0	15
ჯაბა კანკავა	ალანია	ს	როსტოვი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	10	0	15
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	ს	როსტოვი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	7	0	15
გიორგი დემეტრაძე	ალანია	ს	როსტოვი 0:1	45	შეცვლაზე ითამაშა	8	2	15
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	ტომი 0:0	90	ვერ გაიტანა პენალტი	5	2	5
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ტომი 0:0	90		20	0	5
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	ტომი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	ჩკალოვეცი 0:1	0		12	0	6
გოგიტა გოგუა	ხიმკი	ს	ჩკალოვეცი 0:1	0		5	0	6
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	მ. კუზბასი 0:0	0		15	0	5
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	ფაკელი 3:4	0		29	1	8
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	შ	ხიმკი 1:0	0		11	0	12
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	შ	კამაზი 0:0	90		30	5	18
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	პეტროტრესტი 4:0	0		30	2	15
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	ს	დინამო 2:4	37	შეცვლაზე ითამაშა	9	0	10
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ზაკარპატიე 3:0	0	ტრავმირებულია	0	0	15
არჩილ ბაჯელიძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ზაკარპატიე 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	ვოლინი 0:3	90		11	6	5
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	არსენალი 1:1	90	გააფრთხილეს	11	1	13
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	ს	ხარკოვი 1:0	90		4	0	3
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ამირან მუჯირი	კალითეა	შ	პანათინაიკოსი 2:4	90		4	0	16
შვეიცარია. სუპერლიგა								
ლადო ახალაია	ციურიხი	ს	გრასჰოპერი 0:1	0	განაცხადში არ იყო	5	1	2
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
ლევან ქებაძე	აშნა	შ	ოოი 1:1	90	1 გოლი	5	2	9
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	ს	იურმალა 3:0	0		14	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	იურმალა 3:0	29	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	17	2	2
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	იურმალა 3:0	90		20	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	იურმალა 3:0	8	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	7	1	2
ლევან მიქაძე	მეტალურგსი	ს	ვენტსპილსი 5:1	90		22	2	1
ალეკო რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	შ	მეტალურგსი 1:5	90	გააფრთხილეს	18	2	3
ყაზახეთი. სუპერლიგა								
გიორგი გოგიაშვილი	ვოსტოკი	შ	ბოგატირი 0:1	90		20	5	13
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	ტობოლი 0:0	90		16	0	11
დავით ჭიჭვეიშვილი	ატირაუ	შ	ოკჟეტპესი 0:1	90		8	0	9
ლევან სანიკიძე	ტობოლი	ს	ეკიბასტუზეცი 0:0	0	სათადარიგო	1	0	2

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

კრუიფმა და ძოლამ მაურინიუს შეუტია

„ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმა და „სტემფორდ ბრიჯის“ ძველმა ვარსკვლავმა, იტალიელმა ჯანფრანკო ძოლამ გააკრიტიკეს. რადიო BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში „ბარსელონას“ ოდინდელმა მწვრთნელმა და მოთამაშემ პორტუგალიელს ტაქტიკა დაუწუნა. კრუიფის თქმით, პორტუგალიელი დამრიგებელი უფრო მეტს უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ მისმა გუნდმა ლამაზი ფეხბურთი აჩვენოს. „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ მაურინიუს „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდთან კონფლიქტზეც ილაპარაკა.

კრუიფს ამ მოსწონს „ჩელსის“ თავი შედეგს ამხელა მნიშვნელობას რომ ანიჭებს. „მაურინიუ ერთობ პრაგმატული დამრიგებელია. სხვა მის ადგილზე ალბათ არა მარტო შედეგზე, არამედ გუნდის სახის გაუმჯობესებაზეც იფიქრებდა. როცა რომელიმე დიდი კლუბის დამრიგებელი ხარ, მარტო შედეგზე არ უნდა ფიქრობდე. კარგია, თუ სხვასაც პატივს სცემ და შეგირდებს ეტყვი, რომ მოედანზე ხალხს მარტო ერთფეროვანი, მოსაწყენი „მეგოლე მექანიზმი“ კი არა, გუნდი სჭირდება, რომელიც ოდნავ მაინც აჩვენებს ცოცხალ ფეხბურთს. ფანები სწორედ ამას ელოდებიან“ — განაცხადა კრუიფმა.

ჰოლანდიელს არც მაურინიუს და ბარსელონელი რაიკაარდის წინა სეზონის უთანხმოება დავიწყებია. მაშინ „კამპ ნოუზე“ საჩემპიონთალიგო მატჩის დასასრულს „ჩელსის“ მწვრთნელმა კატალონიელთა დამრიგებელი შეხვედრის მსაჯის, ანდრეს ფრისკის მოსყიდვაში დააადანაშაულა. რაიკაარდს არბიტრის მოქრთამვა არ დაუმტკიცდა, ხოლო კრუიფმა მაურინიუს სულსწრაფობაში დასდო ბრალი: „მაურინიუ „ბარსას“ მწვრთნელს უსამართლოდ მოექცა. როცა რაიმეს თქმა გინდა, წინასწარ ყოველთვის უნდა დაფიქრდე, პორტუგალიელმა თავისი სულსწრაფობით სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებს ცუდი მაგალითი მისცა...“

იოჰან კრუიფისგან განსხვავებით, ჯანფრანკო ძოლას BBC-სთან ბევრი არ ულაპარაკია, თუმც ყოფილ კლუბზე რაც თქვა, ფრიად შთამბეჭდავი გახლდათ. „ჩელსის“ თამაშის ცქერით სიამოვნების მიღება შეუძლებელია. თან მაურინიუს არჩეული ტაქტიკას ხშირ შემთხვევაში მოწინააღმდეგე გუნდებიც აჭყვებიან ხოლმე და მატჩი საშინლად უინტერესო ხდება“ — დაიჩივლა იტალიელმა ვეტერანმა.

ლადო ხომერიკი



ჯანფრანკო ძოლა

იოჰან კრუიფი

ჟოზე და რაფა თამაშის შემდეგ

ჟოზე მაურინიუ

„ჩელსის“ მენეჯერი ჟოზე მაურინიუ ამაყია და კვირას, „ლივერპულის“ 4:1 ძლევით კრიტიკოსთა წინააღმდეგ გამოდის.

პრემიერლიგაში „ჩელსი“ 9 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს და ჯერაც არ დაუკარგავს ქულა.

„ჩვენ მეტ პატივისცემას ვიმსახურებთ“, თქვა მაურინიუმ, არა მაინცდამაინც ლივერპულისგან, არამედ ზოგადად ხალხისგანაც, რადგან ძალიან კარგი გუნდი ვართ. რვიდან რვა მოვიგეთ, 16 გოლით გავიტანეთ, მაგრამ ხალხი მაინც ამბობს, რომ ჩვენ ფეხბურთს არ ვთამაშობთ და კლოუნების ჯგუფი ვართ. ეს ასე არ არის.

მე არ ვამბობ, რომ მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ვართ, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ და ყველაფერი გვაქვს, რაც გუნდს სჭირდება“—აღნიშნა მაურინიუმ.

პორტუგალიელმა არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ მის გუნდს თითქოს ეშინოდა „ლივერპულისა“ ჩემპიონთა ლიგაში მათი შეხვედრის შემდეგ. ამას რაფა ბენიტესი აცხადებდა მატჩის წინ.

„ღია ბრძოლაში ვერ მოგვიგებდნენ,“ განმარტა მაურინიუმ, თუმცა, საჩემპიონო ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. რაფა ამბობს, რომ ის ხედავს ჩვენს სისუსტეებს. ის დიდი მწვრთნელია, მაგრამ ჩემი გუნდის სისუსტეები მეც ვიცოდი და ჩემპიონთა ლიგის თამაშის შემდეგ რაღაცეები შევცვალე.“



რაფაელ ბენიტესი

რაფას კი თითქოს არ სჯეროდა თავისი მარცხისა: „ეს წარმოუდგენელია, 1:4. პირველ ნახევარ საათს მეტოქეს ვჯობდით და ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მეორე ტაიმში „ჩელსი“ უნდა მოგვეხჩრო, მაგრამ ილბალა შეცდომებმა დაგვაშამათა, ეს სამწუხაროა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ეს მხოლოდ ერთი წაგებული თამაშია.

„ჩელსი“ კი შეცდომებზე მონადირე გუნდია, მეტი არაფერი. უკნიდან თამაშობენ და კონტრშეტევით გსჯიან.“

ირაკლი გამყრელიძე



ჯიბრილ სისე



ბობი ტროულისი

სისემ ბალღი გატყიპა

ჯიბრილ სისემ 15 წლის ბობი ტროულისს წაუთაქა და ახლა პოლიციაში სტუმრობა მოუწევს. ამბავი კი გასულ პარასკევს ლონდონის აღმოსავლეთით, დოკლანდში, ბრუმფილდის ქუჩაზე მოხდა.

ტროულისი, რომელიც „არსენალის“ ფანია, ჯიბრილ სისესთან მისულა და ხელი გაუწვდა, თან ფეხბურთელისთვის მიუბაძავს, რაც ფრანგს არ მოსწონებია.

„სისემ ხელი დამიჭირა, ჩემივე თითი ცხვირზე მომავდო და მთელი ძალით მიაწვა. მან ხუმრობა ვერ გაიგო. მე გავიქეცი, ის კი დამეწია და ჯერ თავში დამარტყა, მერე სახეშიც გამილაწუნა. მისი ორი მცველიც გამომედევნა, ხოლო სისემ დამიძახა, მოდი, ვიჩხუბოთო. ავტომობილთან დარჩენილმა კიდევ ორმა მცველმა სისეს ხელი სტაცა და მანქანაში ჩასვა. გაოგნებული დავრჩი ფეხბურთელის საქციელით. თავი მტკიოდა, სახე და ყური კი დაწითლებული მქონდა“ — თქვა ტროულისმა.

ვაჟა ხუციშვილი

პორტუგალია

პირველი ლიგა. VI ტური

ბელენენსეში 0:2 ამადორა
0:1, 0:2 სემედო (12, 45)
გაძევება: გასპარი (90, ბელენენსეში)

აკადემიკა 2:0 ჟილ ვისენტე
1:0 ფერნანდო (22), 2:0 ჟოეანო (90)

რიუ ავე 1:1 ბოავიშტა
0:1 ჟოზე (60), 1:1 გაუჩო (90)

ნასიონალი 2:0 პენაფიელი
1:0 გულარტი (53), 2:0 ჩილიკოვი (85)
გაძევება: ემერსონი (44)

სეტუბალი 2:0 ლეირია
1:0 ჩავესი (38), 2:0 ფაბიო (78)

მარიტიმუ 2:2 პორტუ
1:0 მანკუზო (7), 1:1 ლიპესი (73), 1:2 პეიშოტო (76), 2:2 მარკინუ (88)
გაძევება: სერჟიპანო, ვალნეი (81, 89 მარიტიმუ)

ფერეირა 3:0 სპორტინგი
1:0 რონი (41), 2:0 დიდი (45), 3:0 ჟუნიორი (90)
გაძევება: გარსია (81, სპორტინგი)

ბენფიკა - გიმარაეში
გვიან დამთავრდა

ბრაგა — ნავალი
დღეს გაიმართება

პორტუ	6	4	2	0	11:4	14
ნასიონალი	6	4	2	0	8:3	14
სპორტინგი	6	4	0	2	8:8	12
ბრაგა	5	3	2	0	4:0	11
ბოავიშტა	6	2	4	0	10:6	10
სეტუბალი	6	3	1	2	4:2	10
რიუ ავე	6	3	1	2	8:7	10
ბელენენსეში	6	3	0	3	10:8	9
ჟილ ვისენტე	6	3	0	3	5:4	9
ფერეირა	6	3	0	3	7:8	9
ამადორა	6	2	2	2	6:5	8
ბენფიკა	5	2	1	2	8:5	7
ნავალი	5	2	1	2	8:7	7
აკადემიკა	6	1	2	3	6:7	5
მარიტიმუ	6	0	3	3	5:8	3
გიმარაეში	5	1	0	4	3:10	3
ლეირია	6	0	2	4	1:10	2
პენაფიელი	6	0	1	5	3:13	1

მეორე ლიგა. VI ტური

პორტიმონენსე — ვიზელა 2:0; შავეში — ავეში 0:1; მორეირენსე — ბარეირენსე 1:0; ვარზიმი — გონდომარი 0:3; ოლიანენსე — ლეიშოეში 1:0; ბეირა მარი — ეშტორილი 3:1; ოვაირენსე — მარკუ 1:3; სანტა კლარა — კოვილია 0:0; ფეირენსე — მაია 0:2

უნგრეთი

NB1. VII ტური

ტატაბანია — დიოშგიორი 2:1; ჰონვედი — მტკ 0:0; შოპრონი — უიპეშტი 1:1; ვიდეოტონი — ზალაეგერსეგი 2:0; პეჩი — რიკი 4:0; ლომბარდ-პაპა — კაპოშვარი 0:0; ფერენცვაროში — გიორი 2:0

სლოვაკეთი

I ლიგა. XII ტური

ნიტრა — რუჟომბეროკი 2:2; ინტერი — ტრენჩინი 0:0; დუბნიცა — ჟილინა 2:4; ტრნავა — ბ ბისტრიცა 1:0; პუხოვი — არტმედია 1:2

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XI ტური

დრავა — გორიცა 1:3; პუბლიკუმი — ნაფტა 1:3; კოპერი — მარიბორი 2:3; პრიმორიე — ბელა კრაინა 2:1

ბრაზილია

სერია A. XXIX ტური

პარანა — კურიტიბა 3:2; კრუზეირო — ფუვენტუდე 2:0; გოიასი — პონტე პრეტა 4:1; პაისანდუ — ფიგეირენსე 3:1; სანტოსი — ფორტალესა 0:0; სან კაეტანო — ატლეტიკო მნ 3:1; კორინთიანსი — ბრაზილენსე 3:2; ინტერნაციონალი — ფლუმინენსე 2:2; ვასკო — პალმეირასი 0:0; ატლეტიკო პრ — ფლამენგო 2:0; ბოტაფოგო — სან პაულო 1:1

მექსიკა

აპერტურა. XI ტური

ტოლუკა — ხაგუარესი 0:1; კრუს ასული — ჩივასი 0:0; მონტერეი — სანტოსი 2:2; მორელია — ტიგრესი 0:2; ვერაკრუსი — ნეკაქსა 2:3; ამერიკა — სან ლუისი 3:1; ატლასი — ატლანტე 1:0; ტეკოსი — პუმასი 3:1; პაჩუკა — დორადოსი 2:1

იაპონია

ჯეილიგა. XXI ტური

ომია — ტოკიო 0:1; ხიროშიმა — ნაგოია 1:2; კაშივა — კობე 1:0; ტოკიო ვერდი — ივატა 4:4; კავასაკი — ნიიგატა 3:0; იოკოჰამა — ოიტა 0:3; კაშიმა — იჩიჰარა 2:2; სერეზო — ურავა 3:1; შიმიცუ — გამბა 1:4

აშშ

მეიჯორლიგა. XXX ტური

კოლუმბუსი — ჩივასი 0:1; ნიუ ინგლანდი — სან ხოსე 0:2; კანზასი — ჩიკაგო 0:1; ნიუ იორკი — ვაშინგტონი 1:4; კოლორადო — სოლტ ლეიკი 2:1; ლოს ანჯელესი — დალასი 2:1



ლიპის ბლაზი არ დავიწყებია



მარჩელო ლიპიმ კვლავ უხმო ნაკრებში დანიელე ბონერასა და მანუელე ბლაზის შემდეგ კვირაში სლოვენიასთან და მოლდოვასთან საბურთაოდ.

„პარმას“ მცველმა ახლახან მოიშუშა ტრავმა. ბლაზის გამოყენება მის ფლანგზე, ოღონდ ცოტა წინ გადაუწყვეტია „დიად მარჩელოს“. ამ პოზიციას მანუელე უკვე შეეჩვია „იუვეში“.

როგორც მოსალოდნელი იყო, რომაული წყვილი, პანუჩი-კასანო გამოძახებულთა შორის არ არის. სამაგიეროდ, მიწვეულია მრავალტანჯული ვინჩენცო იაკინტა, რომელსაც კლუბთან ურთიერთობა მოაგვარა.

ბოლო შემადგენლობასთან შედარებით კიდევ არის განსხვავებები, არ არიან „პალერმოს“ დამტკრეული მცველი ანდრეა ბარძალი და რეჯინელი ჯანდომენიკო მესტო.

კვირა საღამოს იტალია პალერმოს „სტადიო ბარბერაზე“ სლოვენიას უმასპინძლებს, 12 ოქტომბერს კი ლეჩეში „ვია დელ მარიზე“ მოლდოვას.

ზურაბ გოცირიძე

იტალიის ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: დე სანქტისი (უდინეზე), პერუცი (ლაციო);

მცველები: ბონერა (პარმა), ფ. კანავარო (იუვენტუსი), გროსო (პალერმო), მატერაცი (ინტერი), ნესტა (მილანი), ძაკარდო (პალერმო), ძამბროტა (იუვენტუსი);

ნახევარმცველები: ბარონე (პალერმო), ბლაზი (იუვენტუსი), კამორანეზი (იუვენტუსი), დე როსი (რომა), დიანა (სამპდორია), გატუზო (მილანი), პირლო (მილანი);

თავდამსხმელები: დელ პიერო (იუვენტუსი), ჯილარდინო (მილანი), იაკინტა (უდინეზე), ტონი (ფიორენტინა), ტოტი (რომა), ვიერი (მილანი).

ლივორნო და ლუკარელი შეთანხმდნენ

კრისტიანო ლუკარელისა და გუნდის პრეზიდენტ ალდო სპინელის შორის ურთიერთობა მოგვარდა. ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა. SKY ITALIA-სთვის მიცემულ ინტერვიუში სპინელიმ განაცხადა:

„ლუკარელი ჩვენთან 2010 წლამდე რჩება. იგი ახლა სულით ხორცამდე ლივორნოელია. არანაირი პრობლემა აღარ არსებობს. ის ისეთივე სიმბოლოა კლუბის, როგორც იგორ პროტი იყო, სანამ ფეხბურთიდან წავიდოდა.

იყო საშიშროება, რომ გასული სეზონის ბომბარდირი გუნდიდან გაეშვთა პრეზიდენტ სპინელისთან სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გამო.

ლუკარელიმ კაპიტნის სამკლაური მოიხსნა და ასე გამოხატა სპინელის პროტესტი. ამას მოჰყვა მათ შორის ურთიერთობის დაძაბვა. კრისტიანო „ტოტენჰემში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ლივორნოელია და კლუბის თავგადაკლული გულშემატკივარი. სწორედ ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი მის საბოლოო არჩევანში.

სხვათა შორის, სწორედ ლუკარელის დამსახურებაა, რომ „ლივორნო“ სერია A-ში დამკვიდრდა და საკმაოდ კარგ შედეგსაც აჩვენებს, განსაკუთრებით ამ სეზონში.

ზურა გოცირიძე

ოლოლოს ჰლუს ბარკლი მას ვინც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემილიანო ბონაცოლი საუცხოო ფორმაშია

მეექვსე იტალიური ტურის საუკეთესო ფეხბურთელად ემილიანო ბონაცოლი აღიარეს. ამ ფეხბურთელმა „სამპდორიასთან“ ერთად სეზონი დიდებულად დაიწყო რისი დასტურიც იყო კვირას „მესინასთან“ თამაში.

გასულ ზაფხულს, ბონაცოლის „რეჯინადან“ „სამპდორიაში“ გადასვლა იტალიელებს თითქმის შეუმჩნეველი დარჩათ, რადგან დაგვეთანხმებით, ალბერტო ჯილარდინოს „პარმადან“ „მილანში“ და პატრიკ ვიეირას „არსენალიდან“ „იუვენტუსში“ გადასვლის ფონზე ეს ტრანსფერი მკრთალი უნდა გამოჩენილიყო კიდეც. მაგრამ, გაგორდა ბურთი და ნაწინასწარმეტყველევი ადრიანოსა და ლუკა ტონის მხარდამხარ ბონაცოლიმაც გამოიღო ფხა.

არ ვიცით ვინ, რომელ ქვეყანაში როგორ მიიჩნევს მაგრამ ჩვენთვის გოლების წარმოშობას დიახაც მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ბონაცოლის ექვსივე გოლი თამაშითაა გატანილი ანუ არც პენალტია, არც ჯარიმა და არც რაიმე ამგვარი. კვირას გატანილი ორი გოლიც ასეთი გახლდათ: პირველი ზუსტი დარტყმის, ხოლო მეორე მსაჯის წამატებულ წუთებში კარის ხაზის სიახლოვეს ნახელთები ბურთის დამიზნების შედეგი იყო. ხოლო, ასეთი თავდამსხმელის შეძენა „სამპდორიასთვის“ საგანგებოდ მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან გენუელებს ბოლო ხანს გოლების გატანა, ფაქტია, უჭირდათ.

მოკლედ, ბონაცოლი, რომ საუცხოოდ თამაშობს ამას არავინ უარჰყოფს, მაგრამ დავის საკითხი მაინც არსებობს და ის მარადიულია: ფორმა დროებითია, კლასი მუდმივი. ანუ, კარგ ფორმაში მუდმივად ვერ იქნები, კარგი ფეხბურთელი კი თუ ხარ, მუდმივად უნდა იყოო. შეძლებს სამპდორიელი თავისი კარგი ფეხბურთელობის დამტკიცებას? აბა, რა ვიცით, ამას ახლა როგორ ვიტყვით, ის ცნობა კი შეგვიძლია მოგაწოდოთ, რომ სერია A-ს საკუთარ რეკორდამდე მას ორად ორი გოლი აკლია — აქამდე მისი საუკეთესო შედეგი სეზონში 8 გოლი გახლდათ.

მაგრამ სეზონის საუკეთესო გოლი ემილიანო ბონაცოლის არ გაუტანია, იგი ვენსან კანდელამ შეაგდო. შეგახსენებთ, რომ კანდელა ადრე „რომაში“ თამაშით იყო ცნობილი, ხოლო ახლა „უდინეზეშია“. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ „უდინეზემ“ სერია A-ში წინა ორი თამაში წააგო, შემდეგ „ბარსელონასგან“ იწვნია 1:4, რასაც გუნდში ვინჩენცო იაკინტას დაბრუნება მოჰყვა და ინებეთ, უდინელებმა „ლაციოს“ 3:0 მოუგეს. პირველი გოლი, ოღონდ პენალტით, იაკინტამ გაიტანა, მეორე ანტონიო დი ნატალემ, მესამე კი, როგორც გითხარით ულამაზესი იყო: კანდელა მეტოქის საჯარიმოში შევარდა და ბურთი ანჯელო პერუცის თავზე გადაუგდო.

კიდევ რა შეიძლება ითქვას? პაოლო მალდინის ორ გოლზე საკუთრივ ტურის მიმოხილვაში გავამახვილეთ ყურადღება და აქ ამ დიდი ფეხბურთელისადმი ჩვენს პატივისცემასღა დავადასტურებთ, სტატისტიკოსებმა კი ამასობაში დათვალეს, რომ „იუვენტუსი“ რომელიც ექვს ტურში ექვსი მოგებით ლიდერობს, ჩემპიონატის დასაწყისში ზედიზედ მოგებულ თამაშთა სარეკორდო მაჩვენებელს უახლოვდება და თუ ასე გააგრძელა ორი ტურის შემდეგ წინა რეკორდსმენებს გაუტოლდება. წინა რეკოდსმენი, როგორც მიხვდით ორია, 1930-31 და 1985-86 წლების... „იუვენტუსი“, რომელმაც მაშინ რვა ტურიდან რვა მოიგო.



კეთილი, ახლა კი კალენდარს ჩავხედოთ. ვის მასპინძლობს „ბებერი ქალბატონი“ ბოლო ორ ტურში? „მესინასა“ და „ლეჩეს“. დაგვეთანხმებით, წინასწარი ხმაურის ასატეხად „მესინაცა“ და „ლეჩეც“ ჩინებული კანდიდატები არიან, მაგრამ მეორე საქმეა რამდენად გვაწყობს ამ წინასწარი ხმაურის ატეხვა. განა საყოველთაოდ არ არის ცნობილი, რომ სად-სად და სერია A-ში ნებისმიერ „მესინას“ ნებისმიერ ტურში ნებისმიერი „იუვენტუსის“ დამარცხება შეუძლია?

„რეკორდები მხოლოდ სტატისტიკოსებისთვისაა, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომლისგანაც, პრინციპში, სწორედ ეს სიტყვები იყო მოსალოდნელი, — ჩემთვის მხოლოდ შედეგია საინტერესო“.

და ბოლოს, იტალიური რადიოსადგურის, „რადიოდუეს“ ცნობით მისი მსმენელები აწესებენ პრიზებს მათთვის, ვინც ბოლოს და ბოლოს „იუვენტუსს“ დაამარცხებს. პრიზებს შორისაა 300 კილოგრამი კარტოფილი, სამი ათკილოგრამიანი შებოლილი ბარკალი, სარდინიული ყველი და 600 ბოთლი შუშხუნა ღვინო. ჰლუს, მავანმა სიცილიელმა ადვოკატმა ტურინელთა დამმარცხებელი გუნდის ფეხბურთელებს უფასო კონსულტაციები აღუთქვა.

პაპუნა კედია

„მარსელმა“ ფრანკ რიბერის გოლით მოიგო

ლიონს მიათრევენ? გაფიცვა კორსიკაზე

საფრანგეთი
I დივიზიონი. X ტური

ლილი 0:1 მონაკო
0:1 კაპო (58)
ტულუზი 2:0 ოსერი
1:0 ემანა (46), 2:0 ბერგუნო 52)
რენი 1:3 ლიონი
1:0 კალდსტრიუმი (10), 1:1 ჟუნინიო (32), 1:2 ტიაგო (73), 1:3 ვილტორდი (87)
ტრუა 1:1 სტრასბურგი
0:1 ფარნერუ (42), 1:1 ჯაზირი (71)
აიაჩო — ლანსი
გადაიდო
ნიცა 0:1 მარსელი
0:1 რიბერი (75)

„ლიონმა“ რენში მოიგო და პსჟ-ს ოთხი ქულით გაექცა, მაგრამ „რენს“ 1:2-ზე ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მსაჯმა ლიონელთა სასარგებლოდ დაუსტვინა. ორი ტურის წინ „ბორდო“ — „ლიონის“ მატჩში მასპინძლებს პენალტი ეკუთვნოდათ, თუმც არბიტრი „დაბრმავდა“. მაშინ „ბორდოს“ პრეზიდენტი აყვირდა, ჟერარ ულიეს გუნდს ეხმარებიანო, „რენის“ მწვრთნელი ლასლო ბოლონი კი ჟირონდელებს არ აჰყვა.

„ლიონის“ კარში არჩათვლილი გოლის ავტორმა ოლივიე მონტერუბიომ განაცხადა: „მსაჯი აშკარად შეცდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შეგნებულად გააკეთა. ფეხბურთში ასეთები ხდება“.

მონტერუბიოს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმეს, არადა მას ბურთი ლიონელის ფეხიდან მიუვიდა. სილვენ ვილტორდის (ლიონელთა მესამე) გოლიც სწორედ ასე გავიდა. ვილტორდი თამაშგარეში იყო, ბურთი „რენის“ მცველის ფეხიდან მიიღო და გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა ამჯერად ოფსაიდი არ აღნიშნა.

მასპინძლები კალსტრიომის წყალობით დაწინაურდნენ. შვედმა ტიაგოსა და კრისის შეუთანხმებლობით ისარგებლა, რასაც ოცი მეტრიდან ზუსტი დარტყმა მიაყოლა.

სტუმარმა ჟუნინიომ შესვენების შემდეგ ბრწყინვალე გოლით გაათანაბრა. დაახლოებით 30 მეტრიდან ლეწა ბურთს და ცხრიანში შეაგრიალა. ბრაზილიელმა მეორე გოლშიც წილი დაიდო. მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ ტიაგომ დაამატა. ვილტორდის მესამეზე უკვე ვთქვით.

დროებითი მწვრთნელის, ჟან პეტის ხელში „მონაკომ“ ოთხიდან სამი მატჩი მოიგო, ერთი კი ფრედ დაასრულა. მონაკოელებმა ლილში ოლივიე კაპოს გოლით იმარჯვეს. მიუხედავად კარგი შედეგებისა, პეტის მთავარმწვრთნელობა არ სურს. კლუბის პრეზიდენტი გუნდისთვის ახალ თავკაცს ეძებს. გასულ უქმეებზე პოლ ლე გუენს მიადგა, მაგრამ ლე გუენმა უარი უთხრა.

„ტულუზმა“ მიჯრით მესამე შეხვედრა მოიგო და შვიდსაფეხურიანი ნახტომი გააკეთა. ტულუზელებმა „ოსერი“ დაამარცხეს, რომელმაც თავის მხრივ ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. „ოსერის“ მეკარე ფაბიენ კოლმა პირველ ტაიმში მასპინძლებს არ გაატანინა, მაგრამ ტაიმის მიწურულს დაშავდა და ადგილი ახალგაზრდა სებასტიენ ამელოს დაუთმო. მეორე ნახევრის დაწყებიდან ერთ წუთში ტულუზელმა აილ ემანამ ამელოს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა და ანგარიში გახსნა. მერე კი ბრაიან ბერგუნუმ იყოჩაღა და საჯარიმო დარტყმით იხეირა.

„მარსელმა“ ფრანკ რიბერის გოლით „ნიცას“ სძლია. ნიცელებს მთელი მატჩის განმავლობაში ბლომად მომენტები ჰქონდათ, მაგრამ სტუმრებს იღბალი და მეკარე სედრიკ კარასო სწყალობდათ. ფაბიენ ბარტეზს დისკვალიფიკაციის ვადა უმთავრდება და მომდევნო ტურში თამაშს შეძლებს. ალბათ ბარტეზის „სუნთქვა“ იგრძნო კარასომ, რადგან გუნდი არაერთხელ იხსნა. ფრანკ რიბერიმ კი ნიცელთა მეკარის შეცდომაზე გაიხარა. დამიენ გრეგორინიმ ბურთი მუშტებით მოიგერია, რომელიც მას მიუვიდა და გატანა არ გასჭირვებია.

„აიაჩო“ — „ლანსის“ მატჩი კორსიკაზე მეზღვაურთა გაფიცვის გამო გადაიდო. კუნძულიდან ტურისტები გარბიან და ფეხბურთისთვის არავის სცალია.

ვაჟა ხუციშვილი

ლიონი	10	7	3	0	15:6	24
პსჟ	10	6	2	2	14:8	20
ბორდო	10	5	4	1	10:5	19
სტ. ეტიენი	10	4	4	2	10:5	16
ოსერი	10	5	1	4	11:15	16
ლილი	10	4	3	3	14:8	15
ლე მანი	10	4	3	3	10:7	15
ლანსი	9	3	5	1	14:6	14
მარსელი	10	4	2	4	11:12	14
ტულუზი	10	4	2	4	9:11	14
მონაკო	10	4	2	4	7:9	14
ნანსი	10	4	1	5	14:8	13
ნიცა	10	3	3	4	8:11	12
ნანტი	10	3	2	5	8:8	11
აიაჩო	9	2	5	2	7:7	11
რენი	10	3	2	5	11:22	11
ტრუა	10	2	4	4	9:11	10
სოშო	10	2	2	6	4:11	8
სტრასბური	10	0	6	4	5:10	6
მეცი	10	0	4	6	4:15	4

პრნახული რეალის მოლოდინში...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანდერლეი ლუშემბურგომ ზინედინ ზიდანი დააჩოგა

მადრიდის „რეალის“ თავკაცმა ვანდერლეი ლუშემბურგომ გულიდან დიდი ლოდი მოიშორა. მოგეხსენებათ, ბრაზილიელი სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლშია მოყოლილი და ქომაგთა დიდი ნაწილი მის გაშვებას ითხოვს. თუმც „სამეფო კლუბმა“ როგორც იქნა, „მალიორკასთან“ შეძლო სათანადო ფეხბურთის ჩვენება და მესამე ადგილზეც აცოცდა. თანაც „რეალი“ თავის მოსისხლე მტერ „ბარსელონას“ უკვე 3 ქულით უსწრებს.

ვანდერლეი ლუშემბურგი: „საბოლოოდ დავბალანსდით, რაც უკვე ჩვენი თამაშშიდანაც ჩანს. ფეხბურთელები ყოველდღიურად იმაღლებენ კლასს და მეტი იმპროვიზაციით ბურთაობენ. მომავალ მატჩებში კიდევ უფრო და უფრო უკეთ ვითამაშებთ“.

კოლეგისგან განსხვავებით, ტრაბახის მიზეზი არ ჰქონია „ბარსას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდს. ვისაც უკვე ასევე მრავლად გამოუჩდნენ კრიტიკოსები. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც კატალონიელებმა პრემერადივიზიონი მოულოდნელად ცუდად დაიწყეს და ჯერჯერობით ოდენ მეხუთე ადგილზე არიან.

თავად რაიკაარდი სიმშვიდეს ინარჩუნებს და ირწმუნება, ეს დროებითი უიღბლო პერიოდია და ვითარება მალე გამოსწორდებაო.

„ბარსელონას“ თემა გუნდის მცველ ოლეგერით გავაგრძელოთ, რომელიც „სარაგოსასთან“ მატჩისას დაშავდა და ექიმების თქმით, დაახლოებით ერთი კვირა ვერ ითამაშებს.

გარდა ამისა, კატალონიელთა ამომავალ ვარსკვლავს ლიონელ მესის გრანდები არ ასვენებენ. პირინეული პრესა იუწყება, რომ ახალგაზრდა არგენტინელით „იუვენტუსის“ შემდეგ მეორე იტალიური ბოლა კლუბი „ინტერიც“ დაინტერესდა და თვით მადრიდის „რეალიც“. ამბობენ, „ბარსამ“ ორივე გუნდისგან უკვე მიიღო ოფიციალური წინადადებაო.

და ვინ არის პირველ ადგილზე, თუ „რეალი“ მესამეზეა, ხოლო „ბარსელონა“ მეხუთეზე? — ეს არც „ვალენსიაა“, არც „დეპორტივო“ არც „ბილბაო“ და არც პრიმერადივიზიონის სხვა სახელიანი კლუბი. ცხრილის სათავეში ისევ ბერნდ შუსტერის „ხეტაფე“ მოკალათებულა და მიმდინარე სეზონის კიდევ ერთ სიურპრიზ ვიგოს „სელტას“ ერთი ქულით უსწრებს.

გერმანელი სპეციალისტი ზედმეტი კომენტარებისგან თავს იკავებს, ესპანური პრესა კი სიმპათიური პატარა მადრიდული კლუბისადმი საქებარ სიტყვებს არ იშურებს.

ჩვენ მომავალ ტურს დავუცადოთ. „ხეტაფეს“ სევილიაში „ბეტისთან“ სერიოზული გამოცდა ელის. „ბარსელონა“ ლა კორუნიას სტუმრობს და რაც მთავარია, „ვისენტე კალდერონზე“ დიდი მადრიდული დერბია — „ატლეტიკო“ — „რეალი“.

კოკი კანდელაკი

ბებერი დრეერი



რაფაელ ვან დერ ვაარტი

თომას დოლის „ჰამბურგი“ ჩვენს გაოცებას აგრძელებს და „ბაიერნს“ კვლავ კუდში მოჰყვება. შტეფან ვეხტერმა კარი ამჯერადაც მშრალად შეინახა, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა სამი გოლი შეაგდეს და „ლაუტერნს“ ძალიან მარტივად მოუგეს. ფრთები ბოლომდე გაშალა რაფაელ ვან დერ ვაარტმა, რომელმაც ისევ ბრწყინვალედ იბურთავა და დუბლი გაახერხა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ჰოლანდიელი საბოლოოდ მოერგო ბუნდესლიგას და ახლა ალბათ თავის ნიჭს უკეთ გამოავლენს.

გერმანული პრესა კი იუწყება, ნუღარ გიკვირთ, „ჰამბურგი“ სერიოზული გუნდია და ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო. თომას დოლს მართლაც ძალიან დაბალანსებული გუნდი ჰყავს, რაც უკვე მრავალჯერ დამტკიცდა.

კვირის მეორე მატჩში მე-9 და მე-10 ადგილზე მყოფი „დორტმუნდი“ და „შტუტგარტი“ ერთმანეთს უგოლოდ გაეყარნენ. გასვლაზე მოპოვებული ქულით სტუმართა თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი არც ისე უკმაყოფილო გახლდათ.

„ნელ-ნელა წინ მივდივართ და ეს თამაშსაც ეტყობა. გულშემატკივრებს უიმედობის საფუძველი არა აქვთ. ყველაფერი მალე გამოსწორდება“ — აღნიშნა იტალიელმა სპეციალისტმა.

გაბარებული იყო „ვერდერის“ თავკაცი თომას შაფიც. მისმა გუნდმა ბერლინში „ჰერტას“ წაგებული მატჩი მოუგო. შეგახსენებთ, რომ „მუსიკოსებმა“ ბოროვსკის წყალობით ანგარიში 85-ე წუთზე გაქვითეს. 4 წუთში კი მათმა პარაგვაელმა ფორვარდმა ნელსონ ვალდესმა გამარჯვებისა შეაგდო. ხოლო შაფმა განაცხადა, ასეთ რთულ შეხვედრას რომ მოიგებ, არ შეიძლება, არ გიხაროდეს და იმედია, იღბალი ზურგს არც მომავალ თამაშებში გვაქცევსო.

მიუნხენის „ბაიერნმა“ კი მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოთამაშე აკლდა, მაინც მოიგო და მისმა ხელმძღვანელებმა თუ ქომაგებმაც დაიკვეხნეს, კლასი მაინც თავისას შვება და ისევ უპირობო ფავორიტებად ვრჩებითო.

როგორც იცით, დაშავებულია ბავარიელთა კაპიტანი ოლივერ კანიც. მის ნაცვლად შაბათს „ბაიერნის“ კარს ვეტერანი ბერნდ დრეერი იცავდა, რომელსაც ალბათ თავადაც არ ახსოვდა ბოლოს როდის ითამაშა. 38 წლის გოლკიპერი მშვენივრად გამოიყურებოდა და მრავალი კომპლიმენტი დაიმსახურა, როგორც თავისი კლუბისგან, ასევე გერმანული ჟურნალ-გაზეთებისგან.

კოკი კანდელაკი

სამხეთული სამშაბათი

არგენტინა

აპერტურა. IX ტური

ნიუელსი 3:2 ესტუდიანტესი
1:0 ბელუში (41), 2:0 სკოკო (45), 3:0 ბელუში (46), 3:1 პავონე (53), 3:2 კალდერონი (73)
გაძევება: სილვა (86, ნიუელსი), პავონე (86, ესტუდიანტესი)

ტირო ფედერალი 1:1 ოლიმპო
0:1 რამირესი (58), 1:1 ტილხერი (83)
გაძევება: პაესი, მარტინესი (63, 82, ოლიმპო)

სან ლორენსო 1:1 ხიმნასია
0:1 რამინი (17), 1:1 ლავეზი (24)

ხუნიორსი 1:0 ინსტიტუტო
1:0 მარტინესი (54)

ხიმნასია ლპ 1:0 ლანუსი
1:0 ვარგასი (81)

რივერ პლეიტი 3:1 ინდეპენდიენტე
0:1 ბუსტოსი (4), 1:1 მონტენეგრო (24), 2:1, 3:1 ფალკაო (45, 46)
გაძევება: ბუხანი (52, ინდეპენდიენტე)

რასინგი 0:1 როსარიო
0:1 რუბენი (60)

კილმესი 0:4 ბოკა ხუნიორსი
0:1, 0:2 პალერმო (113, 43), 0:3, 0:4 პალასიო (53, 87)
გაძევება: პარედესი (71, კილმესი)

კოლონი 0:0 არსენალი

ბანფილდი 0:0 ველესი

კვირას მარტინ პალერმოს და როდრიგო პალასიოს გოლებმა არგენტინულ „კილმესს“ შავი დღე დააწია— „ბოკა ხუნიორსმა“ მეტოქეს სტუმრად 4:0 მოუგო და აპერტურაში ლიდერობა შეინარჩუნა.

„ლა ბონბონერას“ გრანდი ამ ბოლო დროს მოწინააღმდეგეებისთვის კოშმარად იქცა. ხუთშაბათს „ბოკას“ გაუჩოებმა სამხრეთ ამერიკის თასზე „სერო პორტენიოს“ 5:1 გამოუყვანეს წირვა, მერე კი, ალფიო ბასილეს ბიჭების გატანილი ბურთები უკვე „კილმესის“ დაძმარებულ მეკარეს, ხოსე რამირესს გამოჰქონდა კარებიდან.

მასპინძლებმა „ხუნიორსის“ გაფთრებულ იერიშებს მარტო პირველი 12 წუთის განმავლობაში გაუძლეს. მერე პარედესმა თავისსავე საჯარიმოში პალერმოს ბურთი თავიდან ხელით ააცალა და „საჩუქრად“ პენალტი მიიღო. თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად თავად მარტინ პალერმო მივიდა და ტაბლოზე 1:0 აანთებინა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე პირველი გოლის ავტორმა ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო მეორე ტაიმში უკვე პალასიომ ივარგა და ზემოთ ნახსენები რამირესი კიდევ ორჯერ აიძულა, კარის ბადეში ბურთის მოსაძებნად შესულიყო.

„ჩვენებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. რაც დრო გადის, „ბოკა“ სულ უფრო და უფრო უკეთესად ბურთაობს, რაც ძლიერ სასიხარულოა. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ წინა სეზონის კრიზისი წარსულს ჩავაბარეთ“ — თქვა ალფიო ბასილემ.

2 ოქტომბერს „ინდეპენდიენტესთან“ გამარჯვებას „ბოკა ხუნიორსის“ მოსისხლე მტერი „რივერ პლეიტიც“ ზეიმობდა. „მონუმენტალის“ მატჩის წინ იქაურმა პოლიციამ უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიმართა — აქამდე „რივერს“ მიჯრით სამი თამაში წაეგო და ხულიო ფალკაინის მოწაფეებთან წაბორძიკების შემთხვევაში „მილიონერთა“ ინჩასები ალბათ სტადიონზე ჯოჯოხეთს მოაწყობდნენ. კინაღამ მართლა ასე მოხდა — სტუმარმა მონტოიამ მე-4 წუთზე ბუხანის პასით ისარგებლა და „რივერს“ თავურით ლამაზი გოლი შეუგდო. ოცი წუთის მერე დანიელ მონტენეგრომ ანგარიში გაათანაბრა და „მონუმენტალის“ დასანგრევად გამზადებულ ინჩასებს ოდნავ გული მოულბო. შემდეგ კი 19 წლის კოლუმბიელმა მოიერიშემ რადამელ ფალკაო გარსიამ გაიბრწყინა და ფრესჩაჭიდებულ „ინდეპენდიენტეს“ პრაქტიკულად მარტომ მოუგრიხა კისერი.

რადამელ ფალკაომ „რივერს“ გამარჯვების გემო გაახსენა

პირველი ტაიმის დასასრულ ჭაბუკმა გაუჩომ სამბუერას გადაცემა გოლად აქცია. შესვენების შემდეგ კი თავად ივაუკაცა, მეტოქის ორი მცველი გააბითურა და ლეიენდას კარის ბადეში „რივერის“ მესამე ბურთი ჩაარჭო.

„ფალკაო დიდებული მობურთალი გახლავთ. 19 წლის ბიჭს მეგოლის საოცარი ალღო აქვს, რასაც აპერტურას მომავალ თამაშებშიც დაამტკიცებს“ — დიდის ამბით ეწერა ორშაბათის „ლა ნასიონში“.

შეგახსენებთ, რომ „ესტადიო მონუმენტალის“ მხსნელი კოლუმბიელი აქამდე „რივერის“ სათადარიგოებში ყურყუტებდა და მისი მოედანზე გამოსვლა ოდენ ერნესტო ფარიასის მტკივანი მუხლის „დამსახურებაა“...

აველანედას „რასინგს“ სამწვრთნელო ცვლილებებმა ვერ უშველეს და ვითომც „თარსი“ გილიერმო რივაროლასგან მატ-ოვგუ ელმა, გუნდმა სამ ქულა ასლა „ბანფილდი“ რიო სენტრალის ფერნანდო კიროსის თოკტოფით ნაბანი.

სტუმართაგან გამარჯვების გოლი მესამოცე წუთზე მარკო რუბენმა შეაგდო. „როსარიო“ აპერტურაში მოპოვებული სამი ქულით საგარეო სარბიელზე ნანახ წყენას იოხებს — არიელ რუსოს გაუჩოები „კოპა სუდამერიკანადან“ პორტუ ალეგრეს ბრაზილიურმა „ინტერმა“ გამოაგდო.

გრეგორიო პერესის „არგენტინოს ხუნიორსმა“ შაბათს „ინსტიტუტოს“ დამარცხების მერე ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „ხუნიორსს“ წლევანდელ აპერტურაში მარტო ერთი მატჩი აქვს წაგებული, დანარჩენებიდან 5 მოიგო და სამი ფრედ დაამთავრა. „ინსტიტუტოსთან“ ჯახში ერთადერთი ბურთი ხუან მარტინესმა მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე გაიტანა.

ბოკა ხუნიორსი	9	6	2	1	21:7	20
არგ. ხუნიორსი	9	5	3	1	8:4	18
ველესსარსფიელდ	9	5	2	2	13:5	17
ბანფილდი	9	4	5	0	12:5	17
სან ლორენსო	9	4	4	1	15:10	16
ინდეპენდიენტე	9	4	3	2	16:11	15
არსენალი	9	3	4	2	10:9	13
რივერ პლეიტი	9	4	1	4	11:11	13
ესტუდიანტესი	9	4	1	4	9:9	13
ხიმნასიალპლატა	9	4	1	4	10:12	13
ოლიმპო	9	2	6	1	9:8	12
როსარიო	9	3	3	3	11:13	12
რასინგი	9	3	2	4	10:12	11
კილმესი	9	2	4	3	10:13	10
ოლდ ბოისი	9	2	3	4	11:15	9
ინსტიტუტო	9	1	5	3	3:8	8
ლანუსი	9	1	5	3	9:15	8
ხიმნასიადხუჯუი	9	1	4	4	10:14	7
კოლონი	9	1	3	5	11:18	6
ტირო ფედერალი	9	0	1	8	5:15	1

მონუმენტური ფალკაო

ლადო ხომერიკი

დიეგოს ახალი სიყვარული



სილვინა ლუნა

აგერ ახლახან იყო, 120-კილოიანი, აქოშინებული, ნარკოტიკებით გატანჯული მარადონა მედიასთან ინტერვიუებში რომ აცხადებდა, ჩემი ერთადერთი მიზანი შვილების, დალმას და ჯანინას ბედნიერება და მეუღლე კლაუდიასთან შერიგება არისო. მერე დიდმა დიეგომ ქირურგიული ჩარევით ჭარბი წონაც დააგდო, კოკაინზეც უარი თქვა და ჩიტივით შემსუბუქებულ-გაჯანსაღებული, როგორც გაირკვა, არც ლამაზმანებში ნება-ნება გასეირნებაზე ამბობს უარს.

გუშინ, არგენტინულმა ჟურნალმა „პაპარაციმ“ იმ ეშხიანი სენიორიტას სახელი გათქვა, ვისაც მსოფლიო ფეხბურთის ხელმწიფე პერიოდულად მართლაც მეფურ საჩუქრებს უგზავნის. გოგოს სილვინა ლუნა ჰქვია, პატაგონიელი ტელევარსკვლავია და თავის დროზე ლუჩო ფიგეროას, ესპანური „ვილიარეალის“ ფორვარდის მესაწოლეც გახლდათ. ორიოდე დღის უკან გამიჯნურებულ მეფეს მისთვის ვეებერთელა ვარდების თაიგული გაუგზავნია მოკლე, მაგრამ ფრიად შთამბეჭდავი წარწერით — „დიეგო“... შეყვარებულები კვირაში ორჯერ საიდუმლოდ ხვდებიან ერთმანეთს.

ცნობისმოყვარე „პაპარაციმ“ კი „ჩიკიტა“ სილვინას მხიარული წარსული გამოიკვლია და იმ ჩაუქთა სიაც გამოაქვეყნა, მარადონას გოგოსთან ადრე რომ ანცობდნენ. რახან ამ ჯეელების სახელ-დიდება ლუჩო ფიგეროას და, მით უმეტეს, დიეგო არმანდოსთან ახლოს ვერ მივა, ჯობს, სიას თავი დავანებოთ. ისე, ბევრნი არიან, იცოცხლე...



ფერნანდო კიროსი

რა ოჯახი ჰყავს ასეთი...

ვიცი, რომ „ინსტიტუტოს“ ფანებს ჩემი კლუბიდან წასვლა არ ესიამოვნათ. ვწუხვარ, ამ გუნდს ძალიან შევეჩვიე, თუმც „რასინგმა“ უფრო ხელსაყრელი კონტრაქტი შემომთავაზა და მე კიდევ ოჯახი მყავს სარჩენი... კორდობაში გატარებული პერიოდი ყოველთვის მემახსოვრება“ — განაცხადა ფერნანდო კიროსმა, „რასინგის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა არგენტინულ „კლარინთან“ ინტერვიუში.

კიროსი აველანედას კლუბში გილიერმო რივაროლას ნაცვლად მივიდა, რომელსაც არგენტინის ჩემპიონატში „ბოკა ხუნიორსთან“ და განსაკუთრებით სამეულელ „ინდეპენდიენტესთან“ (აველანედას მეორე გუნდი) წაგების მერე „რასინგის“ ინჩასები სიკვდილით ემუქრებოდნენ. მთავარი კი მაინც სენიორ კიროსის ოჯახის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულია. თავის დროზე მეორეხარისხოვანი „ურაკანიდან“ შედარებით უკეთეს „ინსტიტუტოში“ რომ გადადიოდა, ფერნანდომ მაშინაც შინაურები და სარჩო ახსენა — „ურაკანს“ არაფრით დავტოვებდი, თუმცა ახალი გუნდი უფრო მეტს გადამიხდის და ჩემს ოჯახს კიდევ ფული ხომ არ უნდა მოაკლდესო. აი, მარჩენალიც ასეთი უნდა.

ისე, ჯეელობისას „რასინგის“ დღევანდელი თავკაცი სწორედ ამ გუნდის წამყვანი მოთამაშე იყო. ბოლოს და ბოლოს, ფული ამქვეყნად ყველაფერი ხომ არ არის...

ფეხბურთელი, რომელსაც შვილი გაუჩნდა

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ბებეტო

დღეს საუბარი არცთუ შორეული წარსულის ვარსკვლავზე, ბებეტოზე, სრულად კი ყოზე რობერტო გამა დე ოლივეირა ბებეტოზე გვექნება. ეს გახლდათ ფეხბურთელი, რომელიც პატარაობიდანვე გამოირჩეოდა კაფანდარა სხეულითა და ბრწყინვალე ტექნიკით, რომელმაც დიდი მოედანი მშობლიურ ქალაქსა და მის გუნდში, „ვიტორიაში“ დააჭაშნიკა და იქვე გააფორმა პირველი პროფესიული კონტრაქტი. პირველად დიდ თამაშში მონაწილეობა 19 წლისამ მიიღო და დაუყოვნებლივ იუნიორთა ნაკრებში ამოჰყო თავი, ხოლო ამ გამოძახებას 1983 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და ჩემპიონობა მოჰყვა. ბებეტოს ბავშვობიდან შეარქვეს მტირალა. მიზეზი: სახე აქვს ასეთი. შემდეგ მტირალა „ფლამენგომ“ გადაიბირა, რამაც ბრაზილიის ჩემპიონატისა და დიდი ნაკრებისკენ გაუკვალა გზა. სელესაოში ბებეტოს პირველი მატჩი 21 წლისას პერუსთან ჰქონდა, ხოლო, რაც შეეხება პირველ გოლს...

1987 წლის აპრილში რამდენიმე ამბავი მოხდა. თავიდან, 15 აპრილს ბებეტომ ნაკრების შემადგენლობაში პირველი არაოფიციალური გოლი გაიტანა. არაოფიციალური იმიტომ, რომ იგი ბოლივიურ კლუბ „სტრონგისტთან“ ამხანაგურ შეხვედრაში შეაგდო. თამაში ბრაზილიელებმა 3:2 მოიგეს. შემდეგ, 18 აპრილს პარაგვაის ოლიმპიურ ნაკრებთან შეხვედრაში მტირალამ პირველი ოფიციალური გოლი შეაგდო — მატჩი 3:1 დამთავრდა — და 20 აპრილს კოლუმბიასთან პენალტი ვერ გაიტანა, რის გამოც მთელი შემდგომი კარიერის განმავლობაში ეს სტანდარტული მდგომარეობა სძულდა.

1988 წლის ოლიმპიადაზე ბრაზილიელებს სეულში უძლიერესი თავდამსხმელები ჰყავდათ წაყვანილი: რომარიო, კარეკა და ბებეტო. კარგია ეს? რა საკვირველია კარგია ოღონდ ცუდი შეფერილობაც აქვს — გუნდისთვის, რომლის ტაქტიკური სქემა მხოლოდ ორ თავდამსხმელს ითვალისწინებს, უხერხულობები იქმნება. და მართლაც, თავიდან ბებეტოს სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. მაგალითად, ნიგერიასთან პირველ შეხვედრაში იგი მხოლოდ მატჩის მიწურულს, 14 წუთით შეუშვეს მოედანზე, თუმცა მან გოლის გატანა მაინც მოახერხა. შემდეგ, ავსტრალიასთან 75-ე წუთზე შესულმა გოლი ვერ შეაგდო, იუგოსლავიასთან მეორე ტაიმში შესულმა კი ძალიან სასარგებლო მეორე გაიტანა და ბრაზილიას 2:1 მოაგებინა.

ამას მოჰყვა თამაში არგენტინასთან, რომელშიც ბრაზილიის ნაკრებს სამივე ფორვარდი ჰყავდა მოედანზე — 1:0. რაც შეეხება ნახევარფინალს გერმანელებთან, ის ძალიან მძიმე გამოდგა. ბებეტომ მატჩის ბოლო მონაკვეთი სათადარიგოთა სკამიდან ნახა და იგივე გამეორდა ფინალშიც, სადაც 75-ე წუთზე შეცვლილმა დამატებით დროში ნერვიულობის მეტი ვეღარაფერი გააწყო. იმ წელიწადს ჩემპიონი გელა კეტაშვილი და საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა.

შემდეგ იყო 1989 წელი და „კოპა ამერიკა“, სადაც ბებეტო საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

არადა თავიდან, შევჯიბრება ბრაზილიელებისთვის ძალიან მძიმედ წარიმართა. პირველ მატჩში სელესაომ კი მოიგო 3:1 და სამიდან ერთი სწორედ მტირალამ გაიტანა, მაგრამ შემდეგი ორი შეხვედრა, პერუსა და კოლუმბიასთან მშრალი და უსახური 0:0 დასრულდა. მოკლედ, გადამწყვეტი მატჩი ბრაზილიელებს პარაგვაისთან უწიათ, სადაც ბებეტომ არც მეტი არც ნაკლები, გაიბრწყინა: ორი გოლი და 2:0. ნახევარფინალურ ჯგუფში რომარიოსა და ბებეტოს წყვილის შეჩერება უბრალოდ შეუძლებელი გამოდგა — თითო გოლი არგენტინასთან, ხოლო პარაგვაისთან კიდევ ერთ შეხვედრაში 3:0 და მტირალას ჰეთ თრიკი — ფინალში კი 1:0, ოღონდ გოლი ბებეტოს არ გაუტანია, რომარიომ შეაგდო.

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ვინ გაიტანა ფინალში. აქ, მთავარი სხვა რამ არის: ბებეტომ „კოპა ამერიკაზე“ საუცხოოდ ითამაშა და...იტალიაში, 1990 წლის მუნდიალზე მხოლოდ ერთხელ, ისიც 6 წუთით ითამაშა — ძირითადში მიულერი და კარეკა იყვნენ, ბრაზილიის ნაკრებში დაგროვილ თავდამსხმელებს კი ერთმანეთი სძულდათ. ეს კონკურენცია არ იყო, ეს-გახლდათ ტრომბა. სხვანაირად, ამ ჩემპიონატზე ბებეტოს ოღონდ წუთი ითამაშა რომარიომაც, ხოლო ბრაზილიელ მწვრთნელთა ამოცანებს დაემატა ერთი ურთულესი ამოცანაც: ამიერიდან თავდამსხმელთა წყვილები მხოლოდ ოსტატობის მიხედვით კი არა, ფსიქოლოგიური შეთავსების მიხედვითაც უნდა შეერჩიათ.

1992 წელს ბრაზილიის ორგზის ჩემპიონი ბებეტო ესპანეთში, კერძოდ „დეპორტივო ლა კორუნიაში“ გადადის და ესპანეთის თასსა და სუპერთასს იგებს.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატი და „ბებიგოლი“ ბუნებრივია ცალკე თემაა, მაგრამ მოდი პირდაპირაც ვთქვათ — მკითხველისთვის უცნობს და თმების ყალყზე დასაყენებელს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვით. იმ წელიწადს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ბებეტო მხოლოდ ამით კი არ შეიქნა ცნობილი, არამედ გოლის ახლებურად ზეიმის მოგონებით — ჰოლანდიასთან შეხვედრაში მან პირველად გააკეთა ის მოძრაობა, რომელშიც თანაგუნდელები აჰყვნენ და რომელიც ახალშობილის რწევას გამოხატავს. ასე აღნიშნა მტირალამ შვილის დაბადება.

1996 წლიდან კი მისი კარიერა დაღმა დაეშვა — დაიწყო კლუბების და ქვეყნების უაზრო ცვლა. ამ დროიდან მოყოლებული ბებეტომ ათი გუნდი გამოიცვალა.

1998 წლის მუნდიალზე ბრაზილიის თავდასხმაში ყველა რო-როს ანუ რონალდოსა და რომარიოს გამოჩენას ელოდა, მაგრამ რომარიომ ტრავმა მიიღო და მწვრთნელმა მარიო ზაგალომაც ისევ ბებეტოზე „დადო ფსონი“.

არც ამ ჩემპიონატის შეხსენებით შეგაწყენთ თავს. საყოველთაოდ ცნობილია და მეხსიერებაშიც ჯერ ცოცხლადაა, როგორ გავიდა ბრაზილიის ნაკრები ფინალში და როგორ დამარცხდა იქ საფრანგეთთან 0:3. და ეს გახლდათ ბებეტოს ბოლო 73-ე მატჩი სელესაოს შემადგენლობაში.

სხვა კი რა გითხრათ. დიდი და გამორჩეული აღარაფერი მომხდარა.

პაპუნა კედია

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბებეტომ (შუაში) ზეიმის ახლებური ფორმა მოიფიქრა

სარბიელი და კრიკეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი						
		5 ოქტომბერი						
22:45	518	სტივენეიჯი-დაგ ენდ რედი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
		იტალია. სერია B						
		4 ოქტომბერი						
22:30	39	ალბინოლეფე-კრემონეზე	2.00	2.70	3.80	1.14	1.31	1.57
22:30	40	ვერონა-ბოლონია	2.25	2.70	3.20	1.22	1.32	1.46
		5 ოქტომბერი						
22:30	41	მოდენა-კროტონე	1.75	2.90	4.60	1.09	1.26	1.77
22:30	42	პესკარა-ვიჩენცა	2.10	2.70	3.50	1.18	1.31	1.52
22:30	43	პიაჩენცა-ატალანტა	2.60	2.70	2.70	1.32	1.32	1.35
22:30	44	ტრიესტინა-ტერნანა	1.75	2.90	4.50	1.09	1.25	1.76
22:30	45	არეცო-ტორინო	2.50	2.70	2.75	1.29	1.30	1.36
22:30	46	ბარი-მანტოვა	2.70	2.70	2.65	1.35	1.33	1.33
22:30	47	ბრეშა-რიმინი	1.60	3.10	5.50	1.05	1.23	1.98
22:30	48	კატანძარო-აველინო	1.90	2.80	4.10	1.13	1.29	1.66
22:30	49	ჩეზენა-კატანია	2.35	2.70	3.00	1.25	1.31	1.42
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		4 ოქტომბერი						
23:30	132	ბრაგა-ნავალი	1.40	3.70	7.50	1.01	1.17	2.47
		ფინეთი						
		4 ოქტომბერი						
20:00	173	ინტერი-ჰაჯა	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
		აშშ						
		5 ოქტომბერი						
23:45	182	ჩიკაგო-ნიუ იორკი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
23:45	183	კოლორადო-ჩივასი	1.40	3.80	6.20	1.02	1.14	2.35
23:45	184	დალასი-კოლამბუსი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
23:45	185	სოლტ ლეიკი-ვაშინგტონი	3.40	3.20	1.90	1.64	1.21	1.19
		არგენტინა						
		4 ოქტომბერი						
23:30	191	ესტუდიანტესი-ბანფილდი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
23:45	192	ველესი-კოლონი	1.35	3.80	7.00	1.00	1.13	2.46
23:45	193	ლანუსი-რასინგი	2.25	3.10	2.70	1.30	1.22	1.44
		5 ოქტომბერი						
22:30	194	ბოკა ხუნიორსი-ტირო ფედერალი	1.15	5.90	10.00	1.00	1.03	3.71
23:45	195	ოლიმპო-რივერ პლეიტი	2.25	3.00	2.95	1.28	1.27	1.48
23:45	196	ინდეპენდიენტე-ნიუელბი	1.55	3.50	4.70	1.07	1.16	2.00
23:45	197	როსარიო-კილმესი	1.75	3.30	3.85	1.14	1.20	1.77
23:45	198	სან ლორენსო-არგ. ხუნიორსი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
		7 ოქტომბერი						
23:45	199	ხიმნასია ჟ-არსენალი	2.45	3.00	2.55	1.34	1.24	1.37
23:45	200	ინსტიტუტო-ხიმნასია ლპ	2.15	3.00	2.85	1.25	1.22	1.46
		ბრაზილია						
		4 ოქტომბერი						
23:45	201	ატლეტიკო მნ-პარანა	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	202	კურიტიბა-გოიასი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
23:45	203	პონტე პრეტა-ჟუვენტუდი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	204	სანტოსი-სან კაეტანო	1.45	3.70	5.70	1.04	1.15	2.24
		5 ოქტომბერი						
23:45	205	ფიგეირენსე-ბოტაფოგო	1.95	3.20	3.20	1.21	1.21	1.60
23:45	206	ვასკუ და გამა-კრუზეირო	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
23:45	207	ფორტალეზა-ატლეტიკო პრ	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
23:45	208	პალმეირასი-პაისანდუ	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
23:45	209	ინტერნასიონალი-სან პაულუ	1.80	3.30	3.55	1.16	1.19	1.71
23:45	210	ფლუმინენსე-კორინთიანსი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	211	ბრაზილენსე-ფლამენგო	2.10	3.20	2.95	1.26	1.22	1.53

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მხ. შესარჩევი მატჩები						
		8 ოქტომბერი						
17:00	250	ჩრდ.ირლანდია-უელსი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
22:15	251	ხორვატია-შვედეთი	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
19:00	252	ბულგარეთი-უნგრეთი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:00	253	ფინეთი-რუმინეთი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
19:00	254	ინგლისი-ავსტრია	1.15	5.50	14.00	1.00	1.06	3.94
22:45	256	შვეიცარია-საფრანგეთი	4.00	3.20	1.80	1.77	1.24	1.15
18:00	257	შოტლანდია-ბელარუსი	1.45	3.90	6.00	1.05	1.16	2.36
19:00	258	რუსეთი-ლუქსემბურგი	1.02	10.00	25.00	1.00	1.00	7.14
19:00	259	სლოვაკეთი-ესტონეთი	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
20:15	260	უკრაინა-ალბანეთი	1.20	5.30	10.00	1.00	1.07	3.46
20:50	261	ისრაელი-ფარერები	1.05	8.00	18.00	1.00	1.00	5.53
21:00	262	კვიპროსი-ირლანდია	9.50	4.70	1.25	3.14	1.10	1.00
21:00	263	ლიტვა-სერბეთი	5.30	3.80	1.50	2.21	1.16	1.07
22:00	264	ბოსნია-სან მარინო	1.03	9.00	20.00	1.00	1.00	6.20
22:00	265	დანია-საბერძნეთი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
22:15	266	ნორვეგია-მოლდოვა	1.15	5.80	12.00	1.00	1.04	3.91
22:30	267	ჩეხეთი-ჰოლანდია	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
22:45	268	ბელგია-ესპანეთი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20
23:00	269	იტალია-სლოვენია	1.25	4.60	10.00	1.00	1.11	3.15
23:45	270	პორტუგალია-ლიხტენშტეინი	1.02	10.00	25.00	1.00	1.00	7.14
		იაპონია. თასი						
		5 ოქტომბერი						
14:00	293	იოკოჰამა-გამბა	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
14:00	294	იჩიჰარა-ურავა	1.85	3.20	3.50	1.17	1.21	1.67
		ჰოკეი						
		შვედეთი						
		4 ოქტომბერი						
21:00	395	ფრიოლუნდა-იურგორდენი	1.40	4.70	4.30	1.07	1.05	2.24
21:00	396	ჰვ 71-მოდო	1.55	4.30	3.60	1.13	1.08	1.95
21:00	397	სიოდერტელიე-ბრიუნესი	1.85	4.10	2.70	1.27	1.09	1.62
		ჰოკეი. ფინეთი						
		4 ოქტომბერი						
19:30	413	ილვესი-პელიკანსი	1.60	4.30	3.50	1.16	1.09	1.92
19:30	414	ტურკუ-ლუკო	1.65	4.20	3.40	1.18	1.11	1.87
19:30	415	კერპეტი-სეიპა	1.30	4.80	5.50	1.02	1.05	2.56
19:30	416	იუვესკიულე-ჰელსინკი	2.15	4.20	2.20	1.42	1.08	1.44
19:30	417	ესეტი-ტაპარა	3.00	4.20	1.80	1.75	1.12	1.25
19:30	418	ესპოო-ჰაამეენლინა	1.80	4.20	3.00	1.25	1.12	1.75
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		4 ოქტომბერი						
20:30	433	ლიბერეკი-პარდუბიცე	2.00	4.20	2.50	1.35	1.11	1.56
		ჰოკეი. გერმანია						
		4 ოქტომბერი						
21:30	458	მანჰაიმი-აისბარენი	2.00	4.20	2.50	1.35	1.11	1.56
21:30	459	ჰანოვერი-კიოლნი	2.10	4.20	2.30	1.39	1.09	1.48
		ჰოკეი. რუსეთი						
		4 ოქტომბერი						
18:30	488	ნეფტეხიმიკი-ავანგარდი	2.75	4.50	1.75	1.70	1.06	1.25
19:00	489	სპარტაკი-მოდ	2.25	4.50	2.10	1.50	1.08	1.43
18:30	490	ლოკომოტივი-ვიტიაზი	1.20	6.50	7.00	1.01	1.02	3.37
18:30	491	მოლოტი-დინამო	6.00	5.50	1.25	2.86	1.03	1.01
18:30	492	ცსკა-მაგნიტოგორსკი	2.60	4.60	1.85	1.66	1.08	1.31
17:30	493	ლადა-ნოვოკუზნეცკი	1.35	5.30	5.00	1.07	1.06	2.57
18:30	494	აკ ბარსი-ხიმიკი	1.40	5.20	4.60	1.10	1.07	2.44
16:30	495	ს.იულაევი-სიბირი	1.45	5.10	4.00	1.12	1.06	2.24

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

გაფრინდაშვილმა იტალიას გადაუფრინა და ლიუბლიანაში დაეშვა

ოლიმპიამ ქართველი გააორა



გიორგი გაფრინდაშვილი

18 წლის გიორგი გაფრინდაშვილი, რომელმაც გასული სეზონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში გაატარა, კარიერას ლიუბლიანის „ოლიმპიაში" გააგრძელებს. გიომ სლოვენიურ კლუბთან ახლახან გააფორმა კონტრაქტი, დღე-დღეზე ვიზას მიიღებს და ლიუბლიანაში გაემგზავრება.

საიდან აღმოაჩინა „ოლიმპიამ" გაფრინდაშვილი? ამ ზაფხულს გიორგი ნბა-ს მიერ ორგანიზებულ კემპზე იყო იტალიაში, სადაც ევროპის ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდები შეიკრიბნენ და ქართველმა გამთამაშებელმა MVP-ის, იგივე საუკეთესო მოთამაშის სატიტო პრიზი იოგუნა. ამის შემდეგ მისით დაინტერესდა ევროპაში ცნობილი აგენტი რიდ სალვანი, რომელმაც გაფრინდაშვილი უპრობლემოდ მოაწყო სლოვენიის საუკეთესო კლუბში.

— ყველა საბუთი მოწესრიგებულია და ვიზა დღეს უნდა ჩამომსვლოდა მოსკოვიდან, მაგრამ რატომღაც რუსებმა საქმე ხუთშაბათამდე გამიჭანჭლეს. ვიზა ჩამომივა თუ არა, ლიუბლიანადან ბილეთებს გამომიგზავნიან და სლოვენიაში წავალ—გვითხრა გაფრინდაშვილმა.

— უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ „ოლიმპიაში" ითამაშებ თუ სხვა ვარიანტიც არსებობს?

— „ოლიმპიასთან" უკვე კონტრაქტი გავაფორმე, თუმც არაა გამორიცხული, რომ სხვაგან გამანათხოვრონ...

— **რატომ, „ოლიმპიას" ახალგაზრდული გუნდი არ ჰყავს, იქ ვერ ითამაშებ?**

— მე მხოლოდ ძირითად გუნდთან მექნება შეხება, კონტრაქტი ასეთი პირობით გავაფორმე. ახლა ჩემს მარიფათზეა, ვითამაშებ თუ არა „ოლიმპიაში". რომ ჩავალ, რამდენიმე კვირა უნდა ვივარჯიშო, ამხანაგურ მატჩებსაც მთამაშებენ და თუ თავს გამოვიჩენ, „ოლიმპიაში" დამტოვებენ. არადა, რომელიმე კლუბში გამანათხოვრებენ ერთი წლით.

— **რატომ, ერთი წლით?**

— იმიტომ, რომ თუ ახლა ვერ მოვხვდი „ოლიმპიაში", სეზონის ბოლოს ერთი გამთამაშებელი გუნდიდან მიდის და ალბათ შემადგენლობაში მოხვედრა არ გამიჭირდება. თანაც შედარებით სუსტ გუნდში გამანათხოვრებენ, სადაც სავარაუდოდ თამაშის პრობლემა არ მექნება და გამოცდილებასაც შევიძენ.

— **ისე, ახლა ვინ არიან შენი კონკურენტები „ოლიმპიაში"?**

— ერთი ვეტერანი ამერიკელია, რომელიც 36 წლისაა და სწორედ მასზე ვთქვი, სეზონის ბოლოს გუნდიდან მიდის-მეთქი, მეორე კი ქართველთაიოვის კარგად, უფრო სწორად კი ცუდად ნაცნობი ტეემუ რანიკოა. მოგეხსენებათ, რანიკო ფინეთის ნაკრების გამთამაშებელია და სწორედ მისი დახმარებით მოგვიგეს სკანდინავიელებმა. არ ვიცი, რა როგორ იქნება, თუ თავს გამოვიჩენ, ალბ გამანათხოვრებენ.

— **ისე, შენ ალბათ „ოლიმპიაში" დარჩენა გიჯობს...**

— „ოლიმპია" სლოვენიის საუკეთესო გუნდია და, რა თქმა უნდა, იქ თამაში მირჩევნია, მაგრამ თუ სათადარიგო სკამზე უნდა ვიჯდე, მაშინ სხვაგან ჯობს წასვლა. თავის დროზე „ოლიმპიამ" ვლადიმერ ბოისა გაანათხოვრა, ეს სლოვენიაშიც და მთელს ევროპაში მიღებული პრაქტიკაა—გამოცდილების მიღების მიზნით ახალგაზრდა მოთამაშეებს შედარებით სუსტ გუნდებში უშვებენ.

— **„ოლიმპიას" გარდა სხვა ვარიანტები თუ გქონდა?**

— სხვა არაერთ ძლიერ გუნდში გადასვლა შემეძლო, მაგრამ ჩემი აგენტის რჩევით, „ოლიმპიაში" წასვლა გადავწყვიტე, იყო გერმანული და იტალიური გუნდების ვარიანტები.

— **იტალიაში არ ჯობდა წასვლა?**

— იტალიური კლუბები „ოლიმპიაზე" სოლიდურები კი არიან, მაგრამ ისინი საკმაოდ ხანგრძლივ კონტრაქტს მთავაზობდნენ და რიდმა არ მირჩია.

— **„ოლიმპიას" რამდენი ხნით დაუკავშირდი?**

— სამს პლუს ერთი და პლუს კიდევ ერთი წლით. ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ სამი წელი ლიუბლიანური გუნდის საკუთრება ვიქნები, მერე კი კლუბი გადაწყვეტს, გამიხანგრძლივოს თუ არა ხელშეკრულება.

— **„ოლიმპია" ალბათ იმიტომაც შეარჩია, რომ იქ მარტო არ იქნები — მანუჩარ მარკოიშვილიც ხომ ლიუბლიანაშია.**

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო მიზეზი, იტალიურ კლუბებს „ოლიმპია" რომ ვამჯობინე, თან მე ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და თამაშის დასახვეწად სლოვენიური საკალათბურთო სკოლა არავისზე ნაკლები არაა.

ირაკლი პერტაია

ბრაუნშვაიგელი საყვარელიძე გერმანიას მიუახლოვდა

ერთვნული ნაკრების უგუნდო მოთამაშეები ნელ-ნელა პოულობენ ნავსაყუდელს — აგერ, დავით საყვარელიძემ მონახა კლუბი, რომელთან მოლაპარაკებაც საცაა, დასრულდება და მალე მის მაისურასაც მოირგებს.

ადრე გაუწყეთ, რომ საყვარელიძეს გერმანული „ბრაუნშვაიგის" ვარიანტი აქვს, თუმცა ჯერ არაფერი იყო გადაწყვეტილი, ახლა კი საქმე სასიკეთოდ შებრუნდა და გერმანელებმა ქართველი უკანახაზელის აყვანა გადაწყვიტეს.

„როგორც ჩემმა მენეჯერმა რიდ სალივანმა მითხრა, „ბრაუნშვაიგის" მწვრთნელსა და პრეზიდენტს უკვე გადაუწყვეტიათ ჩემი გუნდში აყვანა და ახლა ფორმალობებია მოსაგვარებელი — გვითხრა საყვარელიძემ — საქმე კი გამოსულია, მაგრამ სანამ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ, არ მინდა, თავი ბრაუნშვაიგელად მოვიხსენიო. ახლა გერმანიიდან ვიზას ველი, პასპორტის მონაცემები უკვე გავაგზავნე და იქნებ კონტრაქტიც მივიღო. ვნახოთ, ყველაფერი მალე გადაწყდება".

დავით საყვარელიძე

საყვარელიძემ გასული სეზონი ფრანგულ „შალონში" გაატარა, სადაც დუბლიორთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მას შალონელები დიდ გუნდში გადაყვანას უპირებდნენ, მაგრამ საფრანგეთში არაევროკავშირელ ლეგიონერებზე ლიმიტი შეამცირეს და დავითს იქაურობის დატოვება მოუხდა. მერე იყო ეროვნული ნაკრები, სადაც საყვარელიძის დებიუტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ მატჩში შედგა. ახლა კი...

ირაკლი პერტაია



სამი მესამე

ახალგაზრდები ევროპიდან ბრინჯაოს ეზიდებიან

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. ქართული შვიდეული შინ უოქროვერცხლოდ, მაგრამ სამი ბრინჯაოთი ბრუნდება. შარშანდელ ევროპის პირველობაზე ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მომპოვებელი ბორის ფირცხელანის გუნდი წლეულს თითქმის მთლიანად გადახალისდა. ნაკრებში ახალი თაობა გამოჩნდა და მაშინდელ შედეგებს რომ ვერ გაიმეორებდნენ, ბევრი ადრევე დარწმუნებული იყო.

პირველი ბრინჯაო 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი შოშიაშვილმა მოიპოვა. პორტუგალიელი სესარ დიეგოს, ბულგარელი კოსტადინ ტოპალოვისა და იტალიელი ეური კონტეგრეკოს ძლევის შემდეგ ნახევარფინალში ჰოლანდიელ იასპერ დე იონგთან წააგო და პირდაპირ რეპეშაჟის ფინალში გადაერთო, სადაც პოლონელ პაველ ზიდაკზე იყარა დე იონგის ჯავრი.

ცნობისთვის, ამავე წონაში მეორე ბრინჯაოც ქართველმა, ოღონდ საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ტარიელ ზიდირიდისმა მოიგო.

მხოლოდ ერთი რეპეშაჟული ბრძოლა დასჭირდა მედლისთვის დავით კარბელაშვილსაც (81კგ). ბრინჯაო მან უკრაინელ ვლადისლავ პოტაპოვს აართვა. მანამდე ნახევარფინალში რუს კირილ ვოპროსოვთან დაკარგა ოქრო-ვერცხლის შანსი, საწყის ეტაპებზე კი საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ჩვენებური ვაჟა ზიდირიდისი, ბულგარელი საშო ევტიმოვი და გერმანელი სვენ მარეში დაამარცხა.

მესამე პრიზიორი მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი გახდა. იტალიელ მაურო ტროისის ჩამოცილების მერე ადამმა ფრანგ ტედი რინერთან წააგო, რეპეშაჟში კი უნგრელი გერგო ურბანი, უკრაინელი სტანისლავ ბონდარენკო და ლიტველი ტომას მესკოვსკისი დაჯაბნა.

ქართული გუნდის სხვა წევრებისგან კვარცხლბეკთან ყველაზე ახლოს დავით ასუმბანი (60კგ) მივიდა. ძირითად ბადეში ორი ეტაპის გავლითა და ერთი რეპეშაჟული გამარჯვებით იგი საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე დარჩა.

გიორგი მჭედლიშვილმა (73კგ), ალექსანდრე მაისურაძემ (90კგ) და ნოდარ მეტრეველმა (100კგ) პირველივე შეხვედრები წააგეს.

ოთარ მაღლაკელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი პლაჟს მიღმა

თუ აჭარის დედაქალაქის ნამდვილი სახის ნახვა გინდათ, აჭარას სექტემბრის ბოლოს უნდა ეწვიოთ მაშინ, როდესაც ბათუმი ბათუმელებისაა.

აჭარის დედაქალაქისკენ რომ გავემგზავრეთ, ქობულეთის გვირაბის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულიყო, ძველი გზით მოგვიწია ბათუმში ჩასვლა.

მანქანის ფანჯრიდან ჩვენს ხელმარჯვნივ გადაშლილმა შავმა ზღვამ ისე მიგვიზიდა, წუთიერად ჩვენი ბათუმში ჩასვლის მიზეზი — საჩოგბურთო ტურნირი „BATUMI LADIES OPEN“ — დაგვავიწყდა და მთლიანად პლაჟზე წამოკოტრიალების ოცნებაში ვდურთეთ თავი.

აკი თავად მეჩოგნე ქალბატონებმიც, განსაკუთრებით სლავები, რომელთა ქვეყნებშიც უკვე ზღვაზე არ გაისვლება, მიეძალნენ სანაპიროს. მათ სავარჯიშო განრიგში „ცურვის დისციპლინებიც“ სიამოვნებით შეიტანეს.

ტურნირს სამოცზე მეტი ქალმეჩოგნე ესტუმრა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ზღვაში გული ივჯერა, ერთ-ერთმა მათგანმა კი სულაც იმ სიშორეს გაცურა, რომ საჯარეული მწვრთნელი შეშლილივით დარბოდა ნაპირ-ნაპირ მის ძებნაში.

ბათუმური ამინდი ზოგს მოუხდა, ზოგსაც ნაკლებად. მაგალითად, ფინალში გასული სერბი ანა ტიმოტიჩი კმაყოფილი სახით არც გვინახავს, კორტზე ხომ სულ ბურტყუნებდა და მის მიღმაც სახე ჩამოსტიროდა.

უმეტესობამ კი გაილაღა. ზოგიერთი წაგებული გუდა-ნაბადის აკვრას სულაც არ ჩქარობდა და კიდევ ერთ-ორ დღეს სიამოვნებით ატარებდა...

ახლა კი იმაზეც მოგახსენებთ, თუ რატომ არის სასექტემბრო ბათუმი საზაფხულოზე უფრო მიმზიდველი: სუფთა ზღვა, პლაჟზე ხალხის ნაკლებობა და მზე, რომელიც გათბობს და არ გწვავს. ასეთ დროს მართლაც იდეალურად დაისვენებს ადამიანი.

ახლა თავად ბათუმელებზე ვთქვათ. ვინც ბულვართან ახლოს ცხოვრობს, პლაჟზე ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნებს იკავებს და ხურდება მატჩები, დასასრულს კი ზღვაში გაბანავებას რა სჯობია.

ვისაც ბულვარისკენ გამგზავრება ეზარება, შეუძლია, მოედანი იქვე, უბანში მოძებნოს. ბათუმში ხომ ეზოს ვერ ნახავთ, სადაც კარგად მოვლილი საკალათბურთო თუ საფეხბურთო კარებ-ფარები არ იყოს დამონტაჟებული.

შაბათს, პირველ ოქტომბერს ბათუმის სპორტულმა სილამაზემ ზენიტს უწია. ბულვარში ასეულობით ბავშვი თუ ახალგაზრდა შეიკრიბა და გაჩაღდა სპორტის ზეიმი. ერთგან ქვიშა დაეყარათ და ფალავნები ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში ეჯიბრებოდნენ. მეორეგან მინი-ფეხბურთს თამაშობდნენ ბურჟუისტოლა ბავშვები. აქეთ სტრიტბოლიო, იქით სირბილი თუ ბაგირის გადაძალვაო. შედარებით ასაკოვანი ჭადრაკის კლუბთან დაფებიც ჩამოემწკრივებინათ და ერთმანეთს ინტელექტუალურად ეპაექრებოდნენ.

ერთი სიტყვით, ბათუმურმა სპორტულმა ცხოვრებამ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა.

თბილისის გზაზე ბათუმ-ქობულეთის გვირაბში გამოვიარეთ. შენდება და მშვენდება აჭარას.

ლადო ფულუკიძე

ავტორის ფოტოები



რუსებს დაფიქრება მართებთ

ნჰლ-ის ჩემპიონატიც კარს მოგვადგა. სეზონის პირველი მატჩები ხვალ გაიმართება. უკლებლივ ყველა გუნდი მონდომებით ემზადება სტარტისთვის. ამ დღეებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა (თუ არ ჩავთვლით საგამოფენო მატჩებს). ამიტომ ყურადღების ცენტრში სიდნი კროსბის დებიუტი მოექცა. 18 წლის ვუნდერკინდის ყველა ნაბიჯს პრესა და საზოგადოება რაღაც განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს. „პიტსბურგში" მის ამხანაგურ მატჩში გამოსვლასაც კი დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

კროსბის დებიუტი წინა ოთხშაბათს, ბოსტონთან შეხვედრაში შედგა და თავისი პირველი ქულა მე-8 წუთზევე მოინაგრა. მისი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ შაიბას მარკ რეკიმ მიუსწრო და ანგარიში გაათანაბრა. რაღაც ხუთ წუთში კროსბის თავადაც შეეძლო გაეტანა, მაგრამ მან ზედა ძელს დაუმიზნა.

„უაღრესად კმაყოფილი ვარ, რომ როგორც იქნა, მომეცა თამაშში ძალების გამოცდის საშუალება. ახლა უკვე შემიძლია, პარტნიორებთან ერთად გამარჯვებისთვის ვიბრძოლო" — ასეთი იყო კროსბის კომენტარი. მისმა მთავარმა პარტნიორმა, თვით არიო ლემიემ კი ასე შეაფასა ვუნდერკინდის დებიუტი:

„ის ყინულზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, კარგად სრიალებდა და შაიბასაც მშვენივრად აკონტროლებდა".

ის, რაც კროსბიმ პირველ მატჩში ვერ მოახერხა, მეორე შეხვედრაში გააკეთა. სიდნის პირველი გოლის მხილველი ოტაველი მაყურებელი გახლდათ. ორკაციან რიცხვმრავლობაში კროსბიმ დაარტყა კიდეც, მაგრამ დამატებაზე იხეირა. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ „პიტსბურგმა" 2:6 წააგო (სხვათა შორის „ბოსტონთანაც" დამარცხდა 4:5). სამაგიეროდ, კროსბის მესამე შეხვედრა იღბლიანი გამოდგა მისი გუნდისთვის, მაგრამ ბედის ირონიით ამაში თავად ვუნდერკინდმა ვერანაირი წვლილი ვერ შეიტანა. მისი დახმარება არც იყო საჭირო, ამ საღამოს ყინულზე „სუპერმარიო" ბრწყინავდა. ლემიე 18 წლის ბიჭუნასავით დაფრინავდა და „კოლუმბუსის" 7:2 განადგურებაში მნიშვნელოვანი წვლილი გოლით და სამი პასით შეიტანა.

ისე, უნდა ითქვას, რომ ამ თამაშზე მეტოქე შესუსტებული შემადგენლობით გავიდა. გრიპის ეპიდემიის გამო „ცისფერჟაკეტიანებმა" 11 მოთამაშე მოისაკლისეს, ხოლო მეკარე პასკალ ლეკლერს სიცხის გამო უშუალოდ თამაშის დროს მოუწია გასახდელში გამგზავრება.

ახლა სხვა ამბებსაც მოაგახსენებთ:

პაველ დაციუკმა საბოლოოდ მაინც „დეტროიტთან" მოაწერა კონტრაქტს ხელი, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს იგი რუსეთში დარჩებოდა ამ სეზონში. მოგახსენებთ, დაციუკმა ომსკის „ავანგარდთან" გააფორმა ხელშეკრულება, ხოლო მისმა წინა კლუბმა, რომელშიც ის ლოკაუტის დროს ასპარეზობდა, მოსკოვის „დინამომ", გაასაჩივრა ეს ფაქტი. თუმც სანამ ორი რუსული გუნდი ერთმანეთს ედავებოდა, დაციუკის აგენტმა გარი გრინსტინმა გამოძებნა საერთო ენა „დეტროიტთან" და რუსები ხახამშრალი დატოვა. როგორც თავად გრინსტინის ინტერვიუდან გაირკვა, მან არსებული ვითარება „წითელფრთიანთა" მესვეურების შეშინება-გასაფრთხილებლად გამოიყენა, რათა მაქსიმალურად აეწია თავისი კლიენტისთვის ფასი. საბოლოოდ დაციუკი ორწლიან და 7,8 მილიონიან კონტრაქტზე დაყაბულდა და ყინულზეც გამოვა საგამოფენო თამაშში.

ადამ დედმარში კი მხოლოდ სამი წლითაა დაციუკზე უფროსი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი კარიერა ლიგაში უკვე დასრულდა. 30 წლის „ლოსანჟელესის" ფორვარდმა ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მძიმე ტრავმის გამო მიიღო.

პირველად დედმარშმა 2000 წელს ედ ჟოვანოვსკისთან ჩხუბში მიიღო ტვინის შერყევა, ხოლო ორი წლის შემდეგ მას შემთხვევით პარტნიორმა უთავაზა მუხლი თავში. დედმარშმა ლოკაუტისწინა სეზონი მთლიანად გამოტოვა და, როგორც გაირკვა, დღემდეც კი ვერ განიკურნა ტრავმისგან. ცხადია, სამწუხაროა, რომ მეორე ტვინის შერყევა საბედისწერო გამოდგა დედმარშისთვის, მით უმეტეს, რომ ის ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ძალისმიერ ფორვარდად ითვლებოდა. აგერ, ერიკ ლინდროსი, მიუხედავად რვა ამგვარი ტრავმისა, მაინც მწყობრშია, ხოლო მასზე უფრო ხშირად დაშავებული ჯერემი რენიკიც ბოლო დღეებამდე დამდეგ სეზონზე ოცნებობდა, თუმც ატლანტელი დენის გოტიეს ძალისმიერმა ილეთმა ეგებ წერტილი დაუსვას მის კარიერას.

ბოლოს ნჰლ-სა და საერთაშორისო ფედერაციის იმ ავადსახსენებელ შეთანხმებას დავუბრუნდეთ, რომელიც აგერ უკვე ორი თვეა, დავიდარაბის საგანია. თუმც ამ დახლართულ საქმეში შეიმჩნევა სასიკეთო ძვრები.

შეგახსენებთ, რომ აქამდე შეთანხმების მიღებაზე უარს რუსეთის და ჩეხეთის ეროვნული ფედერაციები ამბობდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც პორტუგალიაში გამართულ იიჰფ-ის კონგრესზე ნჰლ-მა ახალი ვარიანტი შესთავაზათ, ჩეხეთი გატყდა და მოძმე სლავები მარტო დატოვა, მიზეზი ნჰლ-ის მიერ გაზრდილი მინიმალური კომპენსაციის თანხა და კიდევ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი შესწორება გახდა. ახლა ოკეანის გაღმა გამგზავრებულ ყველა ჰოკეისტში ევროპული ფედერაციები მინიმუმ 200 ათას (და არა 150 ათას) დოლარს მიიღებენ. თანაც ახალი კონტრაქტი მხოლოდ ორი წლით ფორმდება და არა ხუთით, როგორც ადრე იყო ნავარაუდევი.

ასე რომ, რუსებს ახლა დაფიქრება მართებთ. ან ისინიც შეუერთდებიან ხელშეკრულებას (შესაძლოა, ის არასრულფასოვანი, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია წინასთან შედარებით), ანდა მთელი ჰოკეის სამყაროს წინააღმდეგ მარტონი დარჩებიან.

სამველ ღარიბიანი

კვირას დასრულებული ლუქსემბურგისა და ტაილანდის ლიგის პირველობების პარალელურად ATR-სა და WTA-ს რამდენიმე ტურნირი მიმდინარეობდა. მართალია, იქ არ შეკრებილა მოთამაშეთა ისეთი სერიოზული შემადგენლობა, როგორც ლუქსემბურგსა და ტაილანდში, მაგრამ მათი შედეგები უინტერესო არ უნდა იყოს მკითხველისთვის — ეს ტურნირები აზიურ ქალაქებში მიმდინარეობდა და მათ გარემოცვაში ერთი ევროპული, პალერმოც მოხვდა.

პალერმო აზიის გარემოცვაში

ATP

პალერმო. იტალია

თიხნარი

ფინალი

იგორ ანდრეევი (რუსეთი) — ფილიპო ვოლანდრი (ესპანეთი, 6) — 0:6 6:1 6:3

ჰო შე მინი. ვიეტნამი

მაგარსაფარი

ფინალი იონას ბიორკმანი (შვედეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 3) — 6:3 7:6

პალერმოში განსაკუთრებით თიხნარზე თამაშის მოყვარული ესპანელები და არგენტინელები ჭარბობდნენ, მაგრამ გუშინ ტურნირი მაინც რუსი იგორ ანდრეევის გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში ესპანელ ფილიპო ვოლანდრის მოუგო. არადა, ასეთ ფინალს ნაკლებად ვინმე თუ ელოდა, ვინაიდან ტურნირის მონაწილეებს შორის ისეთი ცნობილი მოთამაშეები იყვნენ, როგორებიც არიან ხუან-კარლოს ფერერო, დავიდ ფერერი, ტომი რობრედო, ხუან-იგნასიო ჩელა და სხვები.

უშუალოდ ფინალი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. პირველი სეტი აშკარად ესპანელის უპირატესობით მიმდინარეობდა და მან რუსს გეიმიც კი არ აღებინა. მეორე სეტი აბსოლუტურად განსხვავებული სცენარით განვითარდა და ამჯერად ანდრეევმა იმარჯვა იოლად. მესამე, გადამწყვეტი სეტი ანდრეევმა აქტიურად დაიწყო, მალევე აიღო მოწინააღმდეგის მოწოდება და 4:1 დაწინაურდა, თუმც ვოლანდრი არ დანებდა, საპასუხო ბრეიკის გაკეთება შეძლო და ერთ გეიმამდე შეამცირა კიდეც სხვაობა. მაგრამ ანდრეევმა შეძლო შემდეგი ორი მოწოდება მოიგო და თავის კარიერაში მეორე ტიტულიც მოიგო.

თამაშის შემდეგ პირველი წაგებული სეტი ანდრეევმა ნერვიულობას დააბრალა და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წლეულს ეს უკანასკნელი ტურნირი იყო თიხნარზე.

ვიეტნამში მიმდინარე ტურნირი კი შვედ ვეტერან იონას ბიორკმანის გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში ჩეხ რადეკ შტეპანეკს მოუგო და პირადი ანგარიში 52 000 დოლარით შეივსო. ეს მისი პირველი გამარჯვება 2003 წლის შემდეგ, როცა მან მარსელის ტურნირი მოიგო. ამ გამარჯვებამ ბიორკმანს მეექვსე ტიტული მოუტანა კარიერაში.

WTA

გუანჟოუ. ჩინეთი

მაგარსაფარი

ფინალი

იან ჟი (ჩინეთი) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი, 6) — 6:4 4:0 შეწყდა

სეული. კორეა

მაგარსაფარი

ფინალი

ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი, 2) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთ-ჩერნოგორია, 1) — 7:5 6:3

გუანჟოუში გუშინ დასრულებული ტურნირი მასპინძლის — იან ჟის გამარჯვებით დასრულდა. მან პირველი სეტი საკმაოდ დაძაბულ ორთაბრძოლაში მოუგო ესპანელ ვივესს, რომელმაც მეორე სეტში ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

საერთო რეიტინგის 163-ე ნომრისგან ტურნირის მოგება ნამდვილ სენსაციად იქცა. და საერთოდ, აქ ერთობ ცუდად იასპარეზეს განთესილმა მოთამაშეებმა — პირველი ნომერი რუსი ვერა ზვონარევა პირველივე წრეში დამარცხდა, ხოლო ერთი კვირით ადრე პეკინის ტურნირის მომგებმა მარია კირილენკომ კი მეოთხედფინალში დაასრულა ასპარეზობა.

იანისთვის ეს პირველი ტიტულია კარიერაში, თუმც პირველ ასეულში მაინც ვერ მოხვდება.

რაც შეეხება სეულში მიმდინარე ტურნირს, ის 16 წლის ჩეხი თინეიჯერის, ნიკოლ ვაიდისოვას გამარჯვებით დასრულდა. მან ფინალში აქ პირველ ნომრად განთესილი სერბი იანკოვიჩი დაამარცხა და რეიტინგში 21-ე ადგილზე გადაინაცვლა.

კახა ლომაშვილი

ნიკოლ ვაიდისოვა

ხელბურთი

მერამდენე ხელლაფდასხმა

კიდევ ერთი სამარცხვინო მარცხი იწვნიეს ჩვენმა ხელბურთელებმა ევროსარბიელზე. ნორვეგიაში გაიმართა ვაჟთა „ჩელენჯ თასის“ ჯგუფური ტურნირი, რომელშიც საქართველოს წინა ჩემპიონატის მეხუთეადგილოსან „ხელბურთის კლუბ თელავთან“ ერთად მონაწილეობდნენ რუმინეთის „პლოეშტი“, მაკედონიის „კავადარცი“ და მასპინძელი „ნიტედალი“.

ფავორიტებად რუმინეთ-ნორვეგიის კლუბები ითვლებოდნენ და უპრობლემოდაც მოიპოვეს შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება.

ქართველი ხელბურთელები სამივე მატჩში უსუსურად გამოიყურებოდნენ — 27, 37 და 41-ბურთიანი სხვაობით განადგურდნენ.

ნიტედალი 53:26 თელავი
პლოეშტი 54:13 თელავი
კავადარცი 55:18 თელავი

სატურნირო ვითარება

	მ	ფ	წ	ბ	ქ
პლოეშტი	3	0	0	139:73	6
ნიტედალი	2	0	1	128:93	4
კავადარცი	1	0	2	105:101	2
ხკ თელავი	0	0	3	57:162	0

დანარჩენი სამი წინასწარი ჯგუფიდან ბრძოლას აგრძელებენ „ჯანკაია ბელედიე ანკარა“ (თურქეთი), „დიომიდის არგოსი“ (საბერძნეთი), „სპორტინგ კლუბ ჰორტა“ (პორტუგალია), „სკიფ — კრასნოდარი“ (რუსეთი), „იუგოპეტროლ ჟელეზნიჩარი“ (სერბეთ-ჩერნიგორია) და „ბურევესტნიკ ლუგანსკი“ (უკრაინა).

ავტორბოლა



რაიკონენს შუმახერის მემკვიდრედ ასახელებენ

კიმი შუმის მაგივრად?

ჯერ საგაისო საპირველფორმულო ტრანსფერების ამბავი არ გარკვეულა, ბრიტანულმა ყოველდღიურმა „სანდი მირორმა“ კი 2007 წლის სენსაციურ გარიგებაზე გაავრცელა ინფორმაცია.

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მოგეხსენებათ, მიხაელ შუმახერს „ფერარისთან“ კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს უმთავრდება და საერთო აზრით, იგი ამის შემდეგ „სამეფო რბოლებიდან“ წავა. ბუნებრივია, „სკუდერიის“ ხელმძღვანელობა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის შემცვლელზე ფიქრობს. უპირველეს კანდიდატად რამდენიმე თვეა, რაც „მაკლარენის“ ფინელ პილოტს კიმი რაიკონენს ასახელებენ. ჰოდა, ამ მეტად პოპულარული ლონდონური ტაბლოიდის ცნობით, საქმე უკვე გაჩარხულა — 25 წლის კიმიმ „ფერარისთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა და სეზონში 22 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებსო.

„ფერარიში“ ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებენ.

არის კიდევ ერთი კანდიდატი — მოტორბოლაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, 26 წლის ვალენტინო როსი. იტალიელმა „მოტოშუმახერმა“ წითელი ბედაურით ორ-სამჯერ წაივარჯიშა და მომავალ ბოსებზე სასიამოვნო შთაბეჭდილებაც მოახდინა.

თუკი როსი ორიდან ოთხ ბორბალზე გადაწყვეტს გადასვლას, ესეც 2007 წლამდე არ მოხდება, რადგან მას „იამაჰასთან“ კიდევ ერთსეზონიანი ხელშეკრულება აკავშირებს. იაპონელები „დოქტორს“ წლიურ 14 მილიონ ევროს უხდიან, თანამემამულე მეფორმულეები კი ამ ჯამაგირის ნახევარს სთავაზობენ.

ვნახოთ, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია. ისე, ძალიანაც საინტერესო იქნება ტრასებზე „ყინულის კაც“ რაიკონენისა და ცეცხლოვანი სამხრეთელის როსის დუეტის ხილვა.

გია ახალაძე

ჭადრაკი

მსოფლიოს ჩემპიონატი
27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

შავ-თეთრ დაფაზე

შავ-თეთრი საქმის გამოსავლენად

სან ლუისში მიმდინარე მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ დასვენების დღე იყო. ამ დღეს ჩემპიონატის მონაწილეთა სასაუბრო თემა ჭადრაკი კი არა, დოპინგი აღმოჩნდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესისამებრ, სან ლუისში ჩემპიონატის მონაწილეებმა დოპინგშემოწმება უნდა გაიარონ. ორი კვირის შემდეგ აქ ჩამოვა ინგლისელი ქალბატონი ჯანა ბელინი, რომელიც პასუხისმგებელი პირი იქნება ანტიდოპინგურ ანალიზებზე.

როგორც ირკვევა, ტესტები უნდა გაიაროს ტურნირის სამმა ლიდერმა და კიდევ ერთ-ერთმა მონიწილემ, რომელსაც კენჭისყრით შეარჩევენ.

თითოეული ანტიდოპინგური ანალიზის ღირებულება ორას დოლარამდეა, მათი შედეგები კი დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი.

— თუ დოპინგშემოწმება ხელს შეუწყობს ჭადრაკის გაოლიმპიურებას, მაშინ ეს პოზიტიური მოვლენა იქნება, — ამბობს ბულგარელი გროსმაისტერი ვესელინ ტოპალოვი.

ამავე დროს ტოპალოვმა თქვა, რომ პირადად მე არ ვიცი, რომელი პრეპარატებია აკრძალულიო.

დღევანდლამდე ჯერ არ ყოფილა გამოვლენილი, რომ მოჭადრაკეს დოპინგი გამოეყენებინოს, მაგრამ, თუ ამ ჩემპიონატის რომელიმე მონაწილეს აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხელენ, მაშინ მას ტურნირიდან დისკვალიფიკაციას გამოუწერენ და სამი თვიდან ორ წლამდე საჭადრაკო შეჯიბრებებიდანაც მოკვეთენ.

უანალაგო პროგრამა

უახლოესი ათი წლის განმავლობაში რუსეთის სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 100 მილიარდ რუბლზე მეტი დაიხარჯება. ამის შესახებ გუშინ განაცხადა რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერალური სააგენტოს მეთაურმა ვიაჩესლავ ფეტისოვმა მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციაზე „სპორტი და მსოფლიო“. მან ისიც განაცხადა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში დაახლოებით ოთხი ათასი სპორტული ობიექტი აშენდებაო.

„ამ პროგრამას ანალოგი არა აქვს არც რუსეთში და არც საერთოდ მსოფლიოში“.

ფეტისოვმა ისიც თქვა, ვიმედოვნებ მოსკოვი უახლოეს წლებში ოლიმპიურ თამაშებს მიიღებს და რუსეთი სოჭის სპორტულ ინფასტრუქტურასაც განავითარებს, რათა მივიღოთ სპორტის ზამთრის სახეობათა ერთ-ერთი ყველაზე დიდი, თანამედროვე ცენტრიო.

კრივი

ტაისონის მორალი

მაიკ ტაისონის ირგვლივ ხმები და ჭორები არ წყდება. არ წყდება მისი ქალებთან დაკავშირებული სკანდალური რომანებიც, რაზეც პორნოინდუსტრიის პროფესიონალებმა ხელის მოთბობა გადაწყვიტეს. მათ „რკინის მაიკს“ პორნოფილმებში გადაღება შესთავაზეს, მაგრამ როგორც ჟურნალი AVN MAGAZINE იუწყება, მსოფლიოს ექსჩემპიონმა უარყო ასეთი წინადადება, რომელიც ZERO TOLERANCE ENTERTANMENT-დან მოდიოდა.

„ჩვენ სრულიად გაწბილებულნი და გაკვირვებულნი ვართ, — ამბობს ამ კომპანიის პრეზიდენტი გრეგ ალვესი. — მაიკ ტაისონმა გვითხრა, რომ პორნოინდუსტრიაში საქმიანობა მორალური შეხედულებების გამო არ მინდაო. მართალი რომ გითხრათ, ამგვარ პასუხს არ ველოდით 'იმ კაცისგან, რომელსაც მუდამ უყვარდა ეპატაჟი.

ცოტა უფრო ადრე ტაისონმა მსგავსი წინადადება სტუდია ჯენი ჯეიმსონისგანაც მიიღო, რომელიც ასევე უარით გაისტუმრა. თუმცა, მანამდე მან ერთგვარი დაინტერესება გამოამჟღავნა. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნებოდა ჯეიმსონის წარმომადგენლობა.



CHEESBOXING
ეს ჰარმონიაა

ბევრი იჭყლეტავს თავს იმის თაობაზე, თუ რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ფიზიკურად და ინტელექტუალურად ყველაზე განვითარებული ადამიანი. ამაზე გერმანელებსაც ბევრი უფიქრიათ და ასეთი ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის გამოსავლენად სპორტის ახალი სახეობაც გამოიგონეს — CHEESBOXING, რომელიც ჭადრაკსა და კრივს აერთიანებს.

ამ სახეობის გამომგონებელთა აზრით, ჭადრაკის კარგად თამაშის უნარით შეიძლება ინტელექტუალური განვითარების დონის განსაზღვრა, ხოლო კრივი აავლენს ადამიანის მოქნილობის, ძალის, სულიერი სიმტკიცისა და საერთოდ ფიზიკური განვითარების დონეს.

ჰოდა, სპორტის ახალ სახეობაში სპორტსმენები ჯერ ჭადრაკს თამაშობენ, მერე კი, დაფაზე პაექრობის დამთავრებისთანავე, წამოხტებიან და რინგზე არბიან, სადაც ერთმანეთს მუშტებს უშენენ.

შაბათს გერმანიის ერთ-ერთ ავტოსალონში სწორედ ამ სახეობაში გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მძიმე წონის კაცები მონაწილეობენ. მართალია, მის მონაწილეთა შორის მხოლოდ ორნი იყვნენ — ბულგარელი ტიხომირ ტიშკო და გერმანელი ანდრეას შნაიდერი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სპორტის ახალ სახეობასა და ევროპის ჩემპიონატს ჩაეყარა საფუძველი.

ასე იყო თუ ისე, ეტყობა, დამარცხებული დიდად არ დაღონებულა, რაკიღა არც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალია ხუმრობა საქმე. თუმცა, იმას კი ალარ იუწყებიან, რომელმა გაიმარჯვა, ან რომელი დამარცხდა.

სამწუხაროდ, არც ისაა ცნობილი, თუ როგორ ვლინდება ამ სახეობაში გამარჯვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარია მოსკოვში

მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა, მარია შარაპოვამ მოსკოვშიც ჩამოაღწია. მას კრემლის თასში მონაწილეობის მიღება გადაუწყვეტია და 8 ოქტომბრიდან შეჯიბრშიც ჩაებმება.

AFP მოსკოვიდან

საფინალოდ

ფიფას თავკაცი ზეპ ბლატერი ლიმას ჩასულა და პრესკონფერენციაზე პერუელი ბიჭუნაც აუყვანია ხელში. ცხადია, რატომაცაა იქ — 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია: ბრაზილია — მექსიკა.

კვლავ ქალთა ომები

ბუდაპეშტში, „ლასლო პაპის“ არენაზე გრძელდება ქალთა თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიო ჩემპიონობისთვის. 72 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მებრძოლთა შორის ბრაზილიელი როზანჯელ-კონსეისა ჩინელ ჟაო ვანგის შებოჭვას ლამობდა.



AFP ბუდაპეშტიდან

ყველაზე მაგრები



„ჟერარდის“ გუნდი, რომელიც „ფოლქსვაგენით“ შეება ფარაონთა რალს, იმთავითვე ფავორიტი იყო. ჰოდა, თავისი კატეგორია მოიგო კიდეც. ფრანგი ნავიგატორი ანტონია დე რუსარი და ბელგიელი პილოტი სტეფანე ნრარი ცოტა დაღლილები კი ჩანან, მაგრამ...

AFP კაიროდან

კანოეს მებრძოლნი

AFP პენრიტ ლეიქსიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge